ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი,14 ივნისი, 2018 №139 (7684) ფასი: 50 თეთრი

ანზორ აბრალავა: „საქართველოში რევოლუციური კი არა, კონტრრევოლუციური სიტუაციაა“ გვ.5



12 ივნისიდან

როს მაკდონალდი

შიში

სერია ნამდვილი დეტექტივი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




# „ივანიშვილმა კვირიკაშვილს ბრალდებად რუსთაველზე აქციების უკან დგომა წაუყენა“

## რატომ გადადგა საქართველოს პრემიერ-მინისტრი



გვ.2



გოჩა მირცხულავა: „ქუმსიშვილის და კვირიკაშვილის წინააღმდეგ შეიძლება საქმე აღიძრას“



## მურმან დუმბაძე: „შემოდგომაზე ხელისუფლებას ხერხემალში გადავტეხთ“



გვ.3

## რომან გოცირიძე: „ქვეყანაში სიღარიბე მძვინვარებს“

გვ.4

ჯანდაცვის პროგრამის უყაირათობის გამო, ძალიან გაიზარდა ფასები სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე



**სამართალი** გვ.7



მარნეულის მერმა თემურ აბაზოვმა ელჩინ ალახვერდიევს სახეში შეაფურთხა, მერე აიძულა, მოეშარდა ჭიქაში და შარდით მოებანა სახე

რატომ დააკავეს მარნეულის მერი



ნუკრიანში მცხოვრებ აშშ-ის მოქალაქეს და მის მეუღლეს თავს დაესხნენ




ვინ არის და როგორ აღმოჩნდა ინტერპოლით ძებნილი პირი აქციაზე

**ეკონომიკა** გვ.6

დავით ჭიჭინაძე: „ქვეყანა იხრჩობა ვალებში, მთავრობა არაფერს აკეთებს“





უცხოური ინვესტიციების შემცირება პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკასთან

„ყატარის ავიახაზებმა“ დოჰას მიმართულებით ფრენების სიხშირე გაზარდა




ISSN 1987-9385

8 გერმანია: პრორუსი დეპუტატი დანაშაულშია მხილებული

4 ნიკა მელია: „ბევრად უფრო ღირსეულად წავიდა ღარიბაშვილი“

5 ვახტანგ მაისაია: „ოცნებამ“ ადამიანების მწამებლები სამსახურებში დატოვა“

7 „მზიურში“ ბიჭის ჯიხური გაქურდეს

# „ივანიშვილმა კვირიკაშვილს ბრალდებად რუსთაველზე აქციების უკან დგომა წაუყენა“

## რატომ გადადგა საქართველოს პრემიერ-მინისტრი



## გოჩა მირცხულავა: „ქუმსიშვილის და კვირიკაშვილის წინააღმდეგ შეიძლება საქმე აღიძრას“



**„ყოფილი პრემიერი მამუკა ხაზარაძესთან ერთად ივანიშვილის ფავორიტი მინისტრების ჩაძირვას ცდილობდა“**

შორენა მარსაგიშვილი

13 რიცხვი გიორგი კვირიკაშვილისთვის მართლაც თარსი გამოდგა. მან თანამდებობა დატოვა, არადა ცოტა ხნის წინ ამბობდა, რომ მას ამ პოსტზე კიდევ დიდი ხნის მანძილზე ვიხილავდით.

გიორგი კვირიკაშვილმა გადადგომის შესახებ განცხადება საღამოს გააკეთა. მიზეზად მასა და მმართველ გუნდს შორის გარკვეული მიმართულებებით აზრთა სხვადასხვაობა დაასახელა.

გიორგი კვირიკაშვილის შემცვლელად რამდენიმე პირი მოიაზრება. მათ შორის არიან: გიორგი გახარია, მამუკა ბახტაძე და მაია ცქიტიშვილი.

კვირიკაშვილის გადადგომის საკითხი, როგორც ამბობენ, 12 ივნისს ბიძინა ივანიშვილთან გამართულ შეხვედრაზე გადაწყდა.

ეს შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა, მაგრამ ინფორმაციების ნაწილი გარეთ მაინც გამოვიდა. საინტერესო იყო ის დიალოგი, რომელიც ივანიშვილსა და კვირიკაშვილს შორის გაიმართა. ციტატები ამ დიალოგიდან ანალიტიკოსმა გოჩა მირცხულავამ გაასაჯაროვა.

**ბიძინა ივანიშვილი:**

– სამი წლის განმავლობაში, მიპასუხე, რაში ჩაგერიეთ? რომ იძახიან კულუარული მმართველობაო, რა გაიძულე? რამდენჯერ დამირეკავს ამ ხნის განმავლობაში? მხოლოდ რამდენჯერმე, როცა კანში ვერ დაეტიეთ და ისიც რატომ, ამასაც ვერ მიხვდით. ხომ ხედავთ, რას დაამსგავსეთ ქვეყანა. მიპასუხე, გიორგი.

შენ ხარ უთავმოყვარეო კაცი. სამი თვეა იტყუები – დღეს გადავდგები, ხვალ გადავდგები;

ამ აქციების და ამ არეულობების უკან იდექით შენ და მამუკა ხაზარაძე;

გაანადგურეთ და გააჩანაგეთ ქვეყანა;

გგონია, არ ვიცი, რომ მიზანმიმართულად მავნებლობდი?

პროექტები კი არ განაღვლებს შენ – მხოლოდ საკუთარი ჯიბე. მანახე ერთი ადამიანი, ვისთვისაც რაიმე გაგიკეთებია;

ახლა გინდა გადადექი, გინდა არა. ხალხი გამოგიტანს განაჩენს;

ამასთან საუბარს აზრი არ აქვს.

როგორც გოჩა მირცხულავა „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, ეს არის ყველაზე მსუბუქი ციტატები, რაც ივანიშვილმა კვირიკაშვილს „აკადრა“.

როგორ აშანტაჟებდა აწ უკვე ყოფილი პრემიერი „ოცნებას“, რა ინტრიგებს ხლართავდა და რა შანსი დაკარგა მან ამ ინტრიგებით? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ გოჩა მირცხულავა ესაუბრება.

***– თქვენ „ახალ თაობასთან“ საუბარში რამდენიმე თვის წინ განაცხადეთ, რომ კვირიკაშვილის გადადგომის საკითხი დღის წესრიგში იდგა, მაგრამ ის თანამდებობას შანტაჟით ინარჩუნებდა. 13 ივნისს კვირიკაშვილმა თანამდებობა დატოვა. აღარ გაუვიდა შანტაჟი?***

– დიახ, კვირიკაშვილი აშანტაჟებდა „ქართულ ოცნებას“ და ბიძინა ივანიშვილს. ეს შანტაჟი უამრავ რაღაცაში გამოიხატებოდა. საუბარი იყო ანაკლიის პორტის პროექტზე, იქ გასაფორმებელ მემორანდუმზე. ამის გარდა, მთავრობის შიგნით იყო სხვა დინებები.

როგორც „ახალ თაობასთან“, ასევე სხვა მედიასაშუალებებთან ვთქვი, რომ კვირიკაშვილს ჰქონდა თავისი ინტერესები 12-13 მაისს განვითარებულ მოვლენებში. ისევე, როგორც 17 მაისის აქციის დროს. ამ დროს მას უნდოდა, გაეძლიერებინა თავისი თავი.

ამის ფინალი უნდა ყოფილიყო ის, რომ ივლისის შუა რიცხვებში ის ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ საპრეზიდენტო კანდიდატად დაესახელებინათ. ეს თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ გუნდის შიგნით ვითარება ძალიან დაიძაბა. კვირიკაშვილი იმდენ ნიუანსში იქნა ბოლო პერიოდში გამოჭერილი, რომ ის „ოცნების“ არც ერთი ფრთისთვის აღარ იყო მისაღები. მასთან თანამშრომლობაზე ყველა უარს ამბობდა. მათ შორის, მისი თანაგუნდელებიც.





***– მის თანაგუნდელებში ვის გულისხმობთ?***

– იმ ადამიანებს, რომლებიც საქართველოს პარლამენტში სწორედ გიორგი კვირიკაშვილის კვოტით მოხვდნენ.

***– რაში გამოიჭირეს, რომ მასთან არავის აღარ სურდა თანამშრომლობა?***

– ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების შემდეგ ვნახეთ, რომ მან შეძლო აქციაზე გაჟღერებული მოთხოვნების კორექტირება. ანალოგიური მოხდა 12-13 მაისის აქციის დროს. კლუბ „ბასიანში“ ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ გამართულ აქციაზე ახალგაზრდების მთავარი მოთხოვნა მთავრობის და კონკრეტულად, პრემიერის გადადგომა იყო.

მეორე დღეს პრემიერის გადადგომის მოთხოვნა თითქოს ყველას დაავიწყდა და ყველა შს მინისტრ გიორგი გახარიას გადადგომას ითხოვდა. იგივე პროცესები განვითარდა ამ დღეებშიც.

31 მაისს, როცა დათო სარალიძის საქმის განაჩენი გამოცხადდა, საზოგადოება პროტესტის ნიშნად ქუჩაში გამოვიდა. მთავარი პროკურორი გადადგა, მაგრამ პროტესტი არ შეწყვეტილა. საზოგადოება, აქციის ორგანიზატორები და პოლიტიკოსები ითხოვდნენ მთავრობის გადადგომას.

აქციის ორგანიზატორებმა პერსონიფიცირება მოგვიანებით დაიწყეს. ერთი კვირის თავზე ისევ მივიღეთ კორექტირებული მოთხოვნები – ხალხი, რომელიც ითხოვდა მთლიანად მთავრობის გადადგომას, ისევ გახარიას გადაყენების აუცილებლობაზე ალაპარაკდა.

მე არ ვამტკიცებ იმას, რომ ზაზა სარალიძეზე ვინმემ რაიმე სახის ზემოქმედება მოახდინა. ის კონკრეტულმა პირებმა გარკვეული არგუმენტებით შთააგონეს, რომ გახარიას გადადგომა უნდა მოეთხოვა.

***– ვინ არიან ეს პირები?***

– ვინ არიან ეს პირები, ვერ გეტყვით. სამაგიეროდ, დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ამ პირების უკან იდგნენ კვირიკაშვილის ემისრები.

მინდა პირდაპირ განვაცხადო, რომ 12 ივნისს გამართულ დახურულ შეხვედრაზე ივანიშვილმა კვირიკაშვილს ერთ-ერთ ბრალდებად სწორედ აქციების უკან დგომა წაუყენა ბატონ ხაზარაძესთან ერთად.

***– მამუკა ხაზარაძეზეა საუბარი?***

– დიახ. ამ პროცესების ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი იყო ის და, როგორც ამბობენ, საკმაოდ ბევრი ფული დახარჯა.

გაგახსენებთ იმასაც, თუ როგორ ებრძოდა პარალელურ რეჟიმში აწ უკვე ყოფილი პრემიერი ივანიშვილის ფავორიტებს. „ახალ თაობასთან“ საუბარში მე ადრე ვთქვი, რომ მთავრობის ერთ-ერთ პიარ-ჯგუფს ფულიც კი გადაუხადა, მამუკა ბახტაძის წინააღმდეგ კომპრომატები რომ მოეგროვებინათ.

კვირიკაშვილი ამ ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ივანიშვილის ფავორიტები – გახარია და ბახტაძე – ჩაეძირა.

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ვხედავთ იმას, რომ ბატონმა ივანიშვილმა საკმაოდ გონივრული ნაბიჯი გადადგა და, შესაძლოა, პრემიერად სულ სხვა კანდიდატურა დაასახელოს. არ არის გამორიცხული, ეს მაია ცქიტიშვილი იყოს.

***– გამოდის, რომ ივანიშვილმა კვირიკაშვილს ორი ფავორიტი ჩააძირვინა და ასპარეზზე სხვა კანდიდატი გამოჰყავს?***

– ჩაძირვა არა, მაგრამ ბახტაძის და გახარიას დისკრედიტაცია ნამდვილად მოხდა. ბახტაძესთან დაკავშირებით ერთ საინტერესო ამბავს გეტყვით. ცოტა ხის წინ, აუდიტის სამსახურმა სასამართლო დადგენილების წესით, მოიპოვა შპს „საქართველოს რკინიგზის“ შემოწმების უფლება. ფინანსთა მინისტრობამდე ბახტაძე რკინიგზაში საქმიანობდა.

ამ შპს-ს შემოწმების აუცილებლობა ამ ეტაპზე არ არსებობდა, მაგრამ ეს იყო შანტაჟის გზა, რომელიც აირჩია ბატონმა კვირიკაშვილმა.

გახარიასთან დაკავშირებითაც სერიოზული შანტაჟი მიდის. 10-11 ივნისს რუსთაველზე პოლიციამ თავის უფლებამოსილებას გადააჭარბა, მაგრამ სახალხო დამცველმა განმარტა, გზის გადაკეტვის რა მეთოდები შეიძლება არსებობდეს. ამიტომ მე ცალმხრივად არ შევეხები ამ საკითხს და სახალხო დამცველს დავეყრდნობი – რუსთაველის გამზირის სავალი ნაწილიდან კარვების აღება იყო სრულიად ლეგიტიმური. ხელისუფლებას ამის გაკეთების სრული უფლება ჰქონდა.

პოლიციის გარდა, სხვა კანონიერი ინსტიტუტი საქართველოში არ არსებობს, ვინც ამ კარვებს აიღებდა. დასუფთავების სამსახური ამას არ გააკეთებდა. რატომღაც არავის არ უნდა იმაზე საუბარი, რომ ამ კარვებში ძებნილი პირი აღმოაჩინეს.

საიდან მოხვდა ეს პირი საქართველოში და რა მიზნით იყო ის კარავში, ეს ცალკე საკითხია. გარკვეული საფრთხეები ნამდვილად არსებობდა და იქ შეიძლება რაღაც პროვოკაცია მომხდარიყო. აქციის ორგანიზატორთა და მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, პოლიციის მხრიდან აბსოლუტურად ლეგიტიმური ნაბიჯი გადაიდგა.

ჩვენ ხშირად გვავიწყდება, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებს კანონით აქვთ ძალისმიერი მოქმედებების უფლება. ამის მიუხედავად, მოხდა პოლიციის გარკვეული მარგინალიზება. ამის უკან კვირიკაშვილი და მისი ემისრები იდგნენ.

***– სოციალურ ქსელში თქვენ გამოაქვეყნეთ ის ციტატები, რომლებიც, თქვენი თქმითვე, ივანიშვილმა კვირიკაშვილს აკადრა, მაგრამ, როგორც ამბობთ, ეს მხოლოდ ნაწილია. სრულად რატომ არ გამოაქვეყნეთ?***

– ეს იყო მათი შიდა სამზარეულო და, წესით, არც უნდა გამომეტანა ეს ციტატები გარეთ, მაგრამ მხოლოდ ერთი მიზნით გავასაჯაროვე – ვიღაცებს კვირიკაშვილის გადადგომაზე გული დაეთუთქათ და ამტკიცებენ, რომ ეკონომიკური ზრდა გვქონია.

აქედან ჩანს, რომ გიორგი ბრეჟნევი აბსოლუტურად უმადური ადამიანი აღმოჩნდა და კრიტიკა მისთვის არის მიუღებელი. როცა გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა, მას ივანიშვილის გვარი არ უხსენებია და ის პარტიის თავმჯდომარედ მოიხსენია. მადლობის კონტექსტშიც კი არ ახსენა მისი გვარი. ნუ დაგვავიწყდება, რომ კლერკი კვირიკაშვილი პოლიტიკოს კვირიკაშვილად ბიძინა ივანიშვილმა აქცია და არა – სხვა ვინმემ.

***– კვირიკაშვილის მომავალი როგორი იქნება? სადმე ელჩად გაუშვებენ?***

– მას საკმაოდ ცუდი მომავალი აქვს. იმ დახურულ შეხვედრაზე ძირითადად ორ პერსონაზე იყო საუბარი. ესენი არიან კვირიკაშვილი და მისი „პადელნიკი“ დიმიტრი ქუმსიშვილი. ისინი ცოტა ხნის წინ გადამდგარ ზურაბ ალავიძესთან ერთად შემჩნეულები არიან სხვადასხვა გარიგებებში. არ არის გამორიცხული, მათ წინააღმდეგ გამოძიებაც დაიწყოს.

კვირიკაშვილს ჰქონდა შანსი, გამხდარიყო პრეზიდენტობის კანდიდატი, მაგრამ შანტაჟით და ინტრიგებით ეს შანსი დაასამარა.


ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru



რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „შემოდგომაზე ხელისუფლებას ხერხემალში გადავტეხთ“

## „ივანიშვილი სააკაშვილის მარჯვენა ხელი იყო“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ დადგა ნაციონალების გვერდით, რა პირობით დააბრუნეს საქართველოში წინა ხელისუფლების წევრები, ვისზეც ძებნა იყო გამოცხადებული, ვის და როგორ შეუძლია „ოცნების“ ხერხემალში გადატეხა, ვინ უბედავს ივანიშვილს პირის შებრუნებას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „ემსახურე საქართველოს“ ლიდერი მურმან დუმბაძე ესაუბრება.

***– მთელი ეს დღეები თქვენ ნაციონალების გვერდზე იდექით და მათთან ერთად ითხოვდით დავით სარალიძის და თემირლან მაჩალიკაშვილის მკვლელების დასჯას. 2012 წლის 1 ოქტომბერს იფიქრებდით, რომ თქვენ ოდესმე ნაციონალების გვერდზე დადგებოდით? სხვა თუ არაფერი, ბევრი მეოცნებისგან განსხვავებით, თქვენ 9 წლის მანძილზე ყოფილ ხელისუფლებას ებრძოდით. ამისთვის 2011 წლის 26 მაისს სასტიკად დაისაჯეთ.***

– უნდა გითხრათ, რომ მე ოპოზიცია არასდროს არ გამიკრიტიკებია. ოპოზიციის ბრძოლა და მის მიერ ხელისუფლების გაკონტროლება სასარგებლო საქმედ მიმაჩნია. პირდაპირ გეტყვით, ნაკლებად მიზიდავს ძალაუფლება. ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ ოპოზიციაში მყოფ ნებისმიერ ადამიანს შემიძლია ხელი ჩამოვართვა.

წარსულის გახსენების გზით თუ წავალთ და ვიანგარიშებთ, ადრე ვინ სად იყო, ასე შედეგს ვერ მივაღწევთ. ბუნებრივია, წარსული მნიშვნელოვანია, მაგრამ პოლიტიკაში მას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

ამასთან დაკავშირებით ძალიან მარტივი მაგალითი შემიძლია მოგიყვანოთ – მე და ჩემმა თანამოაზრეებმა. ფაქტიურად 9-წლიანი უწყვეტი ბრძოლა გამოვუცხადეთ სააკაშვილის რეჟიმს. ამ უწყვეტი ბრძოლის დროს ბიძინა ივანიშვილი ჩვენ გვერდით არ იდგა. უფრო მეტიც, ამ დროს ის მიხეილ სააკაშვილის მარჯვენა ხელი იყო.

***– რა თვალსაზრისით იყო სააკაშვილის მარჯვენა ხელი?***

– როგორც იდეოლოგიური, ასევე ფინანსური თვალსაზრისით. ეს არის დამტკიცებული ფაქტები. მოგეხსენებათ, მე ვიყავი „ქართულ ოცნებაში“ და ძალიან ხშირი კონტაქტი მქონდა ივანიშვილთან. ის თავად მიყვებოდა, თუ როგორ აფინანსებდა სააკაშვილს და ნაციონალურ მოძრაობას. მიყვებოდა, როგორ თანამშრომლობდა მათთან.

დიახ, ის იყო სააკაშვილის მარჯვენა ხელი, მაგრამ როგორც კი ის ოპოზიციაში წავიდა, მე მას გვერდით დავუდექი. ნაციონალების შეცვლა მისნაირი ადამიანის დახმარებით იყო შესაძლებელი. ივანიშვილი ცნობილი ქველმოქმედი გახლდათ, მას ჰქონდა უზარმაზარი კაპიტალი, რაც რეჟიმთან ბრძოლისას შედეგს მოიტანდა.

მისთვის არასდროს მიკითხავს, რატომ აფინანსებდა სააკაშვილს. ჩემთვის მთავარი იყო მისი გადაწყვეტილება – ის დაუპირისპირდა რეჟიმს და ამ ბრძოლაში მის გვერდით დავდექი.

ასე რომ, მე დღესაც ვარ ოპოზიციურ ველზე. სადაც მიხეილ სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობაც არის. მათ ხელს ვერ ვკრავ და ვერ ვეტყვი, რომ თქვენ ოპოზიციაში ყოფნის უფლება არ გაქვთ.

წლების წინ, მე ეკა ბესელიას გვერდითაც ვიდექი. რომელიც რუსთაველზე გაჰკიოდა: ხააააააალხოოოოო, მოგვიკლეს გირგვლიანი და რობაქიძე. ის სხვებთან ერთად სრულიად სამართლიანად ითხოვდა მკვლელების დასჯას. მეც მათთან ერთად ვიდექი და რადგან წარსულში ეკა ბესელია მომწონდა, ამიტომ მომეწონოს დღესაც? დღეს ის მე ვერაფრით ველარ მომეწონება.

***– რატომ ველარ მოგეწონებათ?***

– დღეს ის ამბობს, რომ სარალიძე სახელმწიფოს არ მოუკლავს და არ ვიცით ვინ მოკლა მაჩალიკაშვილიო. ეს მაგალითები იმიტომ მოვიყვანე, რომ დავამტკიცო, წარსული მნიშვნელოვანია, მაგრამ გადამწყვეტი ფაქტორი არ არის.

***– აბა რა არის პოლიტიკაში გადამწყვეტი?***

– გადამწყვეტია, მოცემულ მომენტში როგორ ფიქრობ და რამდენად სამართლიანია შენი დღევანდელი ფიქრი. მიხეილ სააკაშვილი თუ იტყვის, რომ ყინული არის ცივი, მე ვიტყვი, რომ ის მართალია. ეკა ბესელია თუ იტყვის, რომ ყინული მდუღარეა, ბუნებრივია, მას ვეტყვი, რომ მტყუანია.

***– ძველი ცოდვებიდან გამომდინარე, ნაციონალებს ჰქონდათ უფლება, რუსთაველზე დამდგარიყვნენ და ხელისუფლებისგან სამართლიანობის აღდგენა მოეთხოვათ?***

– რუსთაველზე სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით თავიდან შვილმოკლული მამები გამოვიდნენ. ნაციონალები მათ შეუერთდნენ და მათ ამის უფლება ჰქონდათ. ამ პროტესტს მეც შევუერთდი.

დიდი ხანია პოლიტიკაში ვარ და ამ დროის განმავლობაში უამრავი შეცდომა მაქვს დაშვებული. ერთ-ერთი მთავარი შეცდომა იყო ის, რომ ეულად ვიბრძოდი. ხელისუფლების შესაცვლელად მნიშვნელოვანი წამალი არის ოპოზიციის გაერთიანება. ხელისუფლება კი ნამდვილად შესაცვლელია.

***– რატომ არის შესაცვლელი?***

– იმიტომ, რომ „ოცნებამ“ არ განახორციელა ის სისტემური ცვლილებები, რომლის გატარებასაც მოსახლეობას დაჰპირდა. ამ ხელისუფლებას არა აქვს ყველაზე მთავარი – ლეგიტიმაცია. ის ამომრჩევლის 20-22%-მა აირჩია, მაგრამ პარლამენტში 80%-ით არის წარმოდგენილი. ეს წარმოუდგენელია ამბავია და ასეთ მაგალითს დედამიწის ზურგზე ვერც ერთ ცივილურ ქვეყანაში ვერ ნახავთ. რა ლეგიტიმაციასაც გაძლევს მოსახლეობა, იმ ხარისხით უნდა იყო წარმოდგენილი ხელისუფლებაში.

ასე რომ, ეს სისტემა არის მოსაწესრიგებელი. რასაც ძალიან მარტივად მიხვდა ჩვეულებრივი მოქალაქე ზაზა სარალიძე. ის ამბობს, რომ სისტემა დასანგრევია. ამ დროს მე რა ვთქვა, სისტემა უნდა გადარჩეს? სისტემა აუცილებლად უნდა შეიცვალოს და ეს ოპოზიციას ერთობლივი ძალებით შეუძლია მხოლოდ.

რატომ მსაყვედურობენ ნაციონალების გვერდით დგახარო, როცა რუსთაველზე დგას მალხაზ მაჩალიკაშვილი. მისი შვილის მკვლელობა არის უმძიმესი ამბავი. არავინ არ ვდავობთ იმაზე, რომ გირგვლიანი წინა მთავრობის წევრებმა მოკლეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მკვლელობაში მაღალი თანამდებობის პირები მონაწილეობდნენ, მათ შესახებ ძალიან მალე გავიგეთ.

სხვა საკითხია, როგორ შეაფასეს ნაციონალებმა ამ დანაშაულის სიმძიმე. შეფასება არასწორი იყო და ამიტომაც შეცვალა ისინი ხალხმა 2012 წელს.

დააკვირდით ახლა რა ხდება? ვინ მოკლა თემირლან მაჩალიკაშვილი? კერძო მოქალაქემ? ის მოკლეს უნიჭოდ ჩატარებული სპეცოპერაციისას. სულ სხვა ვილაც უნდა დაეჭირათ, სახლი შეეშალათ და 18 წლის ბავშვი, მშობლებს ლოგინში ჩაუკლეს. ეს ბავშვი დაჭრილი იყო და მასთან 3 საათის განმავლობაში მშობლები არ მიუშვეს. არ გამოიძახეს სასწრაფო დახმარება. იმ ბავშვის გადარჩენაზე რომ ეფიქრათ, თემირლანი დედ-მამას დღეს ცოცხალი ეყოლებოდა.

მე ნაციონალების გვერდით კი არ ვდგავარ, მე იმ ადამიანების გვერდით ვარ, ვინც სიმართლის დადგენას ითხოვს.

ქრისტე პატიობდა თავის მტრებს და მე, ჭიაღუა მურმან დუმბაძე ვინ ვარ, რომ ადამიანებს წარსული არ ვაპატიო. იმ ხელისუფლებისგან ყველაზე მეტად მე ვარ დაზარალებული, სასტიკად მაწამეს, ფრჩხილები დამაძვრეს, მაგრამ ახლა მთავარია მკვლელების დასჯა.

ბევრი ცდილობს, რომ ნაციონალობა მომაკეროს, მაგრამ არ გაუვათ. მათთან მაშინ რომ მივსულიყავი, როცა ხელისუფლებაში იყვნენ, ეს იარლიყო სწორი იქნებოდა, მაგრამ ახლა ისინი ქუჩაში, თაკარა მზეში და თავსხმა წვიმაში დგანან.

ვიღაცას არ მოსწონს, რომ რუსთაველზე ნაციონალები დგანან? მაშინ იმაზე რატომ არ იღებენ ხმას, ხელისუფლება რომ სავსეა ამ პარტიის წევრებით.

მთელი ქვეყანა რომ მოიაროთ, თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ გუბერნატორს, მერსა თუ საკრებულოს წევრს, რომ ისინი ოპოზიციიდან იყვნენ მოსული. ეს ხალხი გამზადებულ პურმარილზე – შეცვლილ ხელისუფლებაში გადმობარგებული ნაციონალები არიან. თავად ჰყავთ თანამდებობაზე ნაციონალები და მე მაბრალებენ მათთან თანამშრომლობას. ამას მე ვერ მივიღებ და არ მივიღებ.

***– ზემოთ თქვით, რომ ივანიშვილის გვერდზე იმიტომ დავდექი, რომ მას შეეძლო ნაციონალების რეჟიმის შეცვლაო. იმ ხალხს, ვის გვერდითაც ახლა თქვენ დგახართ, შეუძლია ხელისუფლების შეცვლა?***

– იმ შემთხვევაში თუ ოპოზიცია გაერთიანდა, 100%-იან გარანტიას გაძლევთ, რომ ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელია. უახლოეს თვეებში ჩვენ უზარმაზარ საარჩევნო პროცესში ჩავერთვებით – ახალი პრეზიდენტი გვყავს ასარჩევი. „ქართული ოცნების“ ხერხემალში გადატეხა, უკვე ამ არჩევნებზე შეგვიძლია.

***– მაგრამ ამისთვის ერთიანი კანდიდატი უნდა ჰყავდეს ალბათ ოპოზიციას.***

– რა თქმა უნდა. ერთიანი კანდიდატით სასტიკად დავამარცხებთ ხელისუფლებას.

– ასეთი დარწმუნებული რატომ ხართ?

***– იმიტომ, რომ კარგად ვიცი ხალხის განწყობა. ძალიან ბევრს დავდივარ რეგიონებში და უამრავ ადამიანს ვესაუბრები. ხალხი ითხოვს ცვლილებებს.***

ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავასრულოთ ერთპარტიული სისტემა. ვიდრე ამას არ გავაკეთებთ, ვერ განვვითარდებით. ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს და სამთავრობო კოალიცია უნდა შეიქმნას. დიახ, მთავრობაში სულ იწილო-ბიწილო უნდა იყოს, რომ ჩვენ ბალანსის დაცვა მოვახერხოთ.

რატომ აყალბებს პროკურატურა ასე იოლად ნივთმტკიცებებს? იმიტომ, რომ ამ უწყებაში სულ მეოცნებეები არიან. მთავრობაში და პარლამენტში ოპოზიცია უფრო ძლიერად რომ იყოს წარმოდგენილი, პროკურატურა ამას ვერ გაბედავდა.

მეტსაც გეტყვით, ივანიშვილს მთავრობაში კითხვის დამსმელი არ ჰყავს. სიტყვის შემბრუნებელზე არაფერს ვამბობ.

სააკაშვილი ავტორიტარი იყო, მაგრამ მას კითხვებს უსვამდნენ. ნინო ბურჯანაძე იყო პარლამენტის სპიკერი და აუმხედრდა. ირაკლი ოქრუაშვილი იყო მოქმედი მინისტრი და აუმხედრდა სააკაშვილს. მას უპირისპირდებოდა კახა ბენდუქიძეც.

„ოცნებაში“ თქვენ ვერ დამისახელებთ ვერც ერთ დეპუტატსა თუ მთავრობის წევრს, რომელიც ივანიშვილს კითხვას მაინც დაუსვამს.

***– მთავრობაში და პარლამენტში ასეთები არ არიან. აი, პრეზიდენტმა შეძლო ამხედრება.***

– მარგველაშვილი მართლაც აუმხედრდა ივანიშვილს, მაგრამ ვთქვათ რატომ? ის სხვანაირად დამოკიდებული რომ იყოს ხელისუფლებაზე, ხმის ამოღებას ვერ გაბედავდა.



მურმან დუმბაძე: „ძებნაში მყოფი ნაციონალები იმ პირობით დააბრუნეს, რომ ბოკერიას პარტიაში გაწევრიანდებოდნენ“

სხვათა შორის, მე ვიყავი ერთადერთი „ოცნებიდან“, რომელმაც გაბედა და პარლამენტში აუმხედრდა ივანიშვილს.

***– რის გამოც „ოცნებიდან“ გაგრიცხეს.***

– გამრიცხეს, მაგრამ ვერაფერი დამაკლეს. სამაგიეროდ დასაჯეს ის ხალხი, ვინც ჩემს გარემოცვად ითვლებოდა. მხედველობაში პარტიული გარემოცვა მყავს და არა ნათესავები.

***– როგორ დასაჯეს?***

– სამსახურებიდან გამოყარეს. წინა მოწვევის პარლამენტში იყო ასეთი დეპუტატი როსტომ ხალვაში. „ოცნებიდან“ როცა გამრიცხეს, დღის წესრიგში ჩემი გადაყენების საკითხიც დადგა. მე პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვიყავი. აჭარის დეპუტაციიდან 4 ხმა სჭირდებოდათ. მე წინადადებას მხარი არ დავუჭირე. წინააღმდეგი წავიდა როსტომ ხალვაში, ნაციონალების წარმომადგენლებმაც ამის გამო ვერ გადამაყენეს. ხალვაში კი სერიოზულად დაისაჯა.

***– რანაირად?***

– ის ხალხი, რომლებიც „ოცნების“ დეპუტატები იყვნენ, ყველა დაასაქმეს, მის გარდა. ჩაგრავენ იმის გამო, რომ ჩემ გადადგომაზე ხელი არ მოაწერა. აი, ასეთია დღევანდელი დემოკრატია. ივანიშვილის გამოთქმა გახსოვთ, ევროპასაც გაუკვირდებაო. ევროპას მართლა უკვირს. მაგალითად, კარვების დარბევა. კარვების აღებით მოგვარდა მაჩალიკაშვილის და სარალიძის პრობლემა? პოლიტიკოსები რომ არ იყვნენ ჩართული, იმიტომაც გაიშალა ეს კარვები. მე რომ ვიყო იქ, კარავს არ დავადგმევინებდი.

***– რატომ?***

– ისე უნდა მოვაწყოთ მიტინგი და ისე უნდა ვეურჩოთ ხელისუფლებას, რომ მესამე პირი არ დავაზარალოთ. ხალხს გადაადგილებაში ხელი არ შევუშალოთ.

***– ოპოზიციის ნაწილი არ უერთდება მიმდინარე პროტესტს. მათზე რას იტყვით?***

– რესპუბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები და „ევროპული საქართველო“ ამბობენ, რომ ვინც რუსთაველზე ახლა გავა, ის იქნება ნაციონალების მხარდამჭერი.

***– „ევროპული საქართველო“ დიდი ხანია აღარ არის ნაციონალების შემადგენელი ნაწილი?***

– რა თქმა უნდა, არიან. სახელი რომ გადაირქვეს, ასე ჰგონიათ, ხალხს რაღაცები დაავიწყდა. ერთი საინტერესო ამბავი უნდა გითხრათ „ევროპულ საქართველოსთან“ დაკავშირებით. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ძალიან ბევრ ჩინოსანზე აღიძრა საქმე. მათი დიდი ნაწილი ქვეყნიდან წავიდა, მათზე ძებნა გამოცხადდა. ამ ადამიანებს ერთი პირობით მისცეს ხელშეუხებლობის გარანტია – ისინი „ევროპული საქართველოს“ წევრები უნდა გამხდარიყვნენ.

## ნიკა გვარამია: „ვერანაირი გადადგომით ვერ გადაიფარება შარდდალეული „ოცნების“ მწამებლობა“



პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის გადადგომას სოციალურ ქსელში ეხმაურება რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია.

– ეკონომიკური მდგომარეობა არა იხვის ტოლმა.

სახალხო პროტესტი, სისხლში გასვრილი ხელები და უკიდურესი არაპოპულარობის მიზეზით გადადგა მთავრობა.

მაგრამ არ დაგვავიწყდეს და აუცილებლად ვახსენოთ საბაბიც – სტუდია მონიტორი, ვისი შემზარავი კადრებიც საბოლოო წერტილი აღმოჩნდა, ისტორიული როლი შეასრულა, კიდევ შეასრულებს და ვერანაირი გადადგომით ვერ გადაიფარება შარდდალეული ოცნების მწამებლობა.

უდიდესი პატივისცემა და მოქალაქეობრივი მადლობა კოლეგებს, – წერს გვარამია.

# რომან გოცირიძე: „ქვეყანაში სიღარიბე მძვინვარებს“

## ჯანდაცვის პროგრამის უყაირათობის გამო, ძალიან გაიზარდა ფასები სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე „ახალ თაობას“ დეპუტატი რომან გოცირიძე ესაუბრება.

***– ბატონო რომან, ქვეყნდება სხვადასხვა დასკვნები, სტატისტიკური მონაცემები და საუბარია იმაზე, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით ქვეყანაში სერიოზული პრობლემებია. რას იტყვით თქვენ. ოცნების ხელისუფლების პირობებში რამდენად გაუარესდა ქვეყანაში ეკონომიკური მაჩვენებელი?***

– ეს ინფორმაცია, რომელიც ახლა გამოქვეყნდა, არავისთვის არ არის გასაკვირი. უბრალოდ, ოფიციალურად დადასტურდა, რომ საქართველოში, „ქართული ოცნების“ პირობებში სიღარიბემ მოიმატა. ამას ჩვენ ვამბობდით ყოველდღიურად. ვასაბუთებდით იმით, რომ ლარის გაუფასურების შემდეგ ქვეყანაში გაიზარდა უმუშევრობა.

***– სტატისტიკური მონაცემები რომ სხვას გვეუბნებოდა?***

– მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკა სხვა რამეს აჩვენებს და ეს სტატისტიკა აყალბებს რეალურ სურათს, ესეც კარგად არის ცნობილი. ძალიან ბევრმა ადამიანმა დაკარგა სამუშაო ადგილი და, რაც მთავარია, დაკარგეს შემოსავლები. თუნდაც იგივე შემოსავალი რომ ჰქონდეს ადამიანს ლარებში, ეს უცხოურ ვალუტაში გადაყვანილი 50%-ით ნაკლებია. თუკი ადამიანს აქვს ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში, იგივე კომერციული ბანკის სესხები, ან სხვა ხარჯები, რომელიც უცხოეთში უნდა გაწიოს, სწავლის, მკურნალობის და ასე შემდეგ, რეალურად ამ ხალხს გაუნახევრდათ თავიანთი შემოსავალი. აი



ამ ორმა ფაქტორმა, უმუშევრობამ და რეალური შემოსავლების კლებამ, ქვეყანაში გაზარდა სიღარიბე.

***– ამ კვლევებში აქცენტები ძირითადად ბავშვთა სიღარიბის სფეროზეა გამახვილებული და არა ზოგადად.***

– დღეს ამის გაბათილებას ცდილობენ. ქვეყანაში სიღარიბე მძვინვარებს. ამ კვლევის თანახმად, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა გაიზარდა. კი ბატონო, ხელმისაწვდომობა გაიზარდა, ძალიან დიდი ფული იხარჯება ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში, რომელიც აბსოლუტურად არაეფექტიანია.

***– რატომაა არაეფექტიანი? ამ გაჭირვებულ ხალხს ცოტა ხომ მაინც შველის უფასო ჯანდაცვა?***

– ეს არაეფექტიანია. ამ ერთი მილიარდით დღეს საოცრებების მოხდენა შეიძლებოდა ჯანდაცვის სფეროში. ეს კი არის უკიდურესად არაეფექტიანი და კორუფციული პროგრამა. თუ ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა გაიზარდა, ეს ნიშნავს, რომ სიღარიბე უნდა შემცირდეს, რადგან ადამიანებს არ უხდებათ მკურნალობისთვის საკუთარი ჯიბიდან ფულის გადახდა, ერთი შეხედვით, თუმცა სინამდვილეში ეს ასე არ არის.

***– აბა როგორ არის?***

– სწორედ ამ ჯანდაცვის პროგრამის უყაირათობის გამო, ძალიან გაიზარდა ფასები სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე. ამიტომ ადამიანებს ძალიან დიდი რაოდენობით უხდებათ საკუთარი ჯიბიდან ამ თანხების დაფარვა. მედიკამენტებსა და სხვა სამედიცინო მომსახურებაზე, ფასები ყოველდღიურად იზრდება. გარდა ამისა, ჯერ არ გამოქვეყნებულა მსოფლიო ბანკის კვლევა. ბოლო კვლევა ჩატარდა 2010-2015 წლებში სიღარიბის შემცირებაზე.

***– ანუ, ამ პერიოდში კლება იყო სიღარიბის?***

– იმ ხელისუფლების სამი წლისა და ამ ხელისუფლების განმავლობაში, იმ ხუთწლიან პერიოდში, სიღარიბე შემცირდა. ეს კვლევა როცა ჩატარდა, ლარის გაუფასურება მაშინ იწყებოდა. დღეს უკვე, როდესაც განახლებული კვლევა გამოქვეყნდება მსოფლიო ბანკის მხრიდან, ჩვენ ასევე დიდ სხვაობას, რომ საქართველოში უკიდურესად ღარიბი მოსახლეობის რაოდენობა გაიზრდება. შეგვიძლია 100%-იანი სიზუსტით ვთქვათ, რომ მსოფლიო ბანკის მომავალი წლის კვლევაში, საქართველოში დაფიქსირებული იქნება სიღარიბის მატება და ამ ექვსწლიანი მმართველობის პირობებში, როდესაც ბიძინა ივანიშვილი გვპირდებოდა სამოთხესა და გასაოცარი შედეგებით ევროპის გაკვირვებას, ჩვენ მართლაც გავაკვირვეთ ევროპა. ექვსი წლის შემდეგ უფრო ღარიბები ვართ, ვიდრე ვიყავით ექვსი წლის წინ!

***– რა არის ამის გამომწვევი მიზეზები? ხელისუფლება ხომ სულ საუბრობდა, რომ აღმავლობის ხანა აქვს ქვეყანას ეკონომიკური თვალსაზრისით, რომ ამას უცხოელი ექსპერტებიც გვიდასტურებენო და ასე შემდეგ.***

– არავინ არ ადასტურებდა აღმავლობის ხანას. აღმავლობის ხანას ერთადერთი ადასტურებდა სტატისტიკის სამსახური, რომელიც აყალბებდა ინფორმაციას ინვესტიციების შესახებ. ძველ რიცხვებსაც კი გადააკეთებდა ხოლმე. ისევე, როგორც აყალბებენ ინფლაციის მაჩვენებელს. 0,01%-ით დაწერეს უმუშევრობის შემცირებაზე, როცა არ არსებობს არავითარი ინსტრუმენტი, რომ საქართველოში დასაქმებულების რაოდენობა გაიზარდოს. დასაქმებულების რაოდენობა კი არა, სტატისტიკის სამსახურმა ისიც კი არ იცის, რამდენი ტაქსი დადის თბილისში!



## სააკაშვილი: „ივანიშვილის აფერისტობას საზღვარი აღარ აქვს, ამ ჯაყოს მართლა სულელები გონია ქართველები“

საქართველოს მესამე პრეზიდენტი სამთავრობო ცვლილებებზე საუბრისას აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილი ცდილობს შეიცვალოს სახე.

– ივანიშვილის აფერისტობას საზღვარი აღარ აქვს, მას შემდეგ, რაც მისი საყვარელი ქალაქის მერი, რომელსაც, ბოლო წლები, გვერდიდან არ იშორებდა და სუსი ამხილეს ხალხის დაშინებაში და ადამიანთან არაადამიანურ მოპყრობაში, ის ცდილობს საზოგადოება დააჯეროს, რომ თურმე, ოცნებას კი არა, ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა ინტერესი იმ კაცის დასჯის, ვინც ივანიშვილს შეაგინა.

ამ ჯაყოს მართლა სულელები გონია ქართველები, – წერს „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი.

## ვოლსკი: „დღეს უკვე არავის უკვირს, რატომ გაგრძელდა სამ საათზე მეტი შეხვედრა“

უმრავლესობის ერთ-ერთი წევრი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიორგი ვოლსკი პრემიერ-მინისტრის გადადგომას ეხმაურება. მისი თქმით, გიორგი კვირიკაშვილის გადაწყვეტილება მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა და დღევანდელ ბრიფინგზე პრემიერისგან სამოქმედო გეგმას ელოდა.

– როგორც ჩანს, ბატონმა გიორგიმ გადაწყვიტა, რომ ამ თემებთან დაკავშირებით, რაც შეეხება იმ ნაწილს, რაზეც გუნდშიც გამოითქვა აზრი და პარტიის თავმჯდომარე ახსენა მან და მისი მხრიდანაც გამოითქვა გარკვეული მოსაზრებები, შენიშვნები, ველოდებოდით განცხადებებს ამასთან დაკავშირებით, ანგარიშს ველოდებოდით. ვფიქრობ, პრემიერმა მიიღო წინასწარი გადაწყვეტილება, რომ სჯობს წავიდეს. ეს მისი გადაწყვეტილება იყო.

მართალი გითხრათ, მე ველოდებოდი ჯერ იმ ანგარიშს, რომელზეც დილით ვსაუბრობდი.

შემცვლელთან დაკავშირებით ჩვენ არ გვისაუბრია. ცვლილებებზე ასე სწრაფად ნუ ვილაპარაკებთ, ჩვენს ქვეყანას სტრესები არ სჭირდება.



ერთიც მინდა ვთქვა, დღეს უკვე არავის უკვირს, თუ რატომ გაგრძელდა სამ საათზე მეტი ეს საუბარი და გუშინ ამაზე თავის მართლება მოგვიწია. სერიოზული საუბარი იყო, სერიოზული განსჯა იყო. ვფიქრობ, პრემიერმა მიიღო ის გადაწყვეტილება, რომელიც მას მიაჩნია პიროვნულად სწორად ამ ვითარებაში. თუმცა მე ამ გადაწყვეტილებას ახლა არ ველოდებოდი, – აცხადებს გია ვოლსკი.



## ნიკა მელია: „ბევრად უფრო ღირსეულად წავიდა ღარიბაშვილი, იმან ის მაინც თქვა, რომ ბიძინამ გაუშვა“

„ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს ლიდერი ნიკა მელია პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომას ეხმაურება.

მისი შეფასებით, „ბევრად უფრო ღირსეულად წავიდა ბატონი ღარიბაშვილი“.

– ბატონმა ღარიბაშვილმა ის მაინც თქვა, რომ ბიძინამ გამიშვა. ბატონმა კვირიკაშვილმა თქვა შემდეგი, რომ თითქოს მას აქვს უთანხმოება თვეების განმავლობაში ხედვებთან დაკავშირებით პარტიის თავმჯდომარესთან, – განაცხადა ნიკა მელიამ.

მისი შეფასებით, პრემიერის გადადგომა არის ხალხის გამარჯვება და ყველაფერი დამთავრდება ოქტომბრის არჩევნებზე.

– ეს ადამიანი 30 მარტს, თვენახევრის წინ საუბრობდა ცინიკურად, საზოგადოებას ესაუბრებოდა და მათ შორის ოპოზიციის წარმომადგენლებს, რომ აქ ყვავ-ყორნებივით რომ დასტრიალებთ ჩემს ადმინისტრაციასო და რომ ელოდებით, ტაიმერი როდის დარეკავს და როდის გადავდგებიო, პირობას გაძლევთ, რამდენიმე წელი ეს ტაიმერი არ დარეკავსო. აქედან გამომდინარე რისი თქმა შეიძლება, დიახაც, საზოგადოების ძალიან პატარა, მაგრამ მაინც გამარჯვება. ყველაფერი დამთავრდება შემოდგომაზე.

ბიძინა ივანიშვილმა დაიწყო ბარტყების გადმოგდება. გადმოაგდო მირზა სუბელიანი, გადმოაგდო შოთაძე და გადმოფერთხა მთელი მთავრობა. პირადი მზარეულის დანიშვნა უნდა, ქალბატონი ცქიტიშვილის? ოლიგარქატი უნდა დამარცხდეს. ბიძინა ივანიშვილი უნდა ჩამოშორდეს მართვის სადავეებს და ამას გააკეთებს საზოგადოება, – განაცხადა ნიკა მელიამ.

# რატომ გაძვირდა სიგარეტი

ბოლო ერთ კვირაში სიგარეტი 10 თეთრით გაძვირდა. სულ ერთი წლის განმავლობაში კი დაახლოებით 40-50 თეთრით. მართალია, ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე, მთავრობას აღებული აქვს ვალდებულება, რომ ყოველ წელს ერთ კოლოფ სიგარეტზე აქციზის გადასახადი დაახლოებით 40 თეთრით უნდა გაიზარდოს, რაც, შესაბამისად, სიგარეტის ფასის მატებასაც გამოიწვევს, მაგრამ როგორც კომერსანტმა გაარკვია, ბოლო დროს თამბაქოს ნაწარმზე ფასის მატებას, აქციზის გადასახადის მატებასთან არანაირი კავშირი არ აქვს.

***– გაიზარდა თუ არა აქციზი ბოლო 1 წლის განმავლობაში და რას უკავშირდება ბაზარზე დღეს თამბაქოს გაძვირება?***

– თამბაქოს კონტროლის ალიანსის თავმჯდომარე გიორგი ბახტურიძე განმარტავს, რომ აქციზის მატება ბოლო წელიწადნახევარია არ მომხდარა, თუმცა, ამ ხნის განმავლობაში სიგარეტზე ფასები გაიზარდა. შესაბამისად, ეს მოგება თამბაქოს ინდუსტრიაში მიდის.

ბახტურიძე აცხადებს, რომ ძირითადად ძვირდება იმპორტირებული თამბაქო, რომლის წილიც ბაზარზე 70 პროცენტზე მეტია. აქედან გამომდინარე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს თანხა ქვეყნიდან გაედინება.

– ხელისუფლებას შეეძლო გაეზარდა კიდევ აქციზი, ეს თანხა ბიუჯეტში შესულიყო და სოციალურ მიზნებს მოხმარებოდა. სახელმწიფო მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ თამბაქოს ინდუსტრიიდან გადასახადი ამოიღოს და არა გაამდიდროს და მოგება გაუზარდოს კრიმინალურ ბიზნესს. ამიტომ, მოვუწოდებთ ხელისუფლებას, რომ გაზარდოს აქციზი. წელიწადნახევარი რომ გადასახადი არ გაზარდა, გამოდის, რომ ჩვენ უცხო ქვეყნის ბიუჯეტებს ვავსებთ. ამიტომ, ჩვენი მოწოდებაა, რომ მაქსიმალურად სწრაფად მოახდინოს მთავრობამ 30-40 თეთრით აქციზის გაზრდა, – აცხადებს ბახტურიძე.

მისი განცხადებით, გასულ წელს აქციზი 60 თეთრით გაიზარდა. შედეგად, ახლა ერთ კოლოფ ფილტრიან სიგარეტზე აქციზის განაკვეთი 1.70 ლარს შეადგენს, უფილტროზე – 60 თეთრს.

– აქ პრობლემას წარმოადგენს ფილტრიან და უფილტრო სიგარეტს შორის 1.10 ლარიანი სხვაობა. შესაბამისად, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ფილტრიანი სიგარეტიდან უფილტროზე გადავიდა. ამ შემთხვევაში ჩვენი ამოცანაა, დაახლოვდეს ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტის დაბეგვრის რეჟიმები. უფილტროზე აქციზის განაკვეთი მინიმუმ 1.50 ლარამდე უნდა გაიზარდოს, – აცხადებს ბახტურიძე.

მისივე განცხადებით, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ მთავრობა გარიგებაშია თამბაქოს ბიზნესთან და ბიუჯეტში დანაკლისის ხარჯზე მოგების მაღალი მარჟის მიღების საშუალებას აძლევს.

ბახტურიძე აცხადებს, რომ მეორე მიზეზი თამბაქოზე აქციზის ვერ ზრდის, მოახლოებული



საპრეზიდენტო არჩევნებია, რომელიც შესაძლოა გარკვეულწილად არაპოპულარულ ნაბიჯად ჩაითვალოს. ბახტურიძე აცხადებს, რომ ასეთ არაპოპულარულ ნაბიჯს არჩევნების წინ მთავრობა ერიდება.

კითხვაზე, მაშინ რა გახდა თამბაქოზე ფასის ზრდის მიზეზი, ბახტურიძე განმარტავს, რომ საქმე გვაქვს ერთგვარ კარტელთან, სადაც ბიზნესი ერთიან თამაშის წესებზე თანხმდება. ამ შემთხვევაში კი ფასებზე.

– იგივე ხდება ფარმაცევტულ ბიზნესში, ეს ხომ ყველასთვის ნათელია. პირდაპირი კომუნიკაციები აქვთ და ერთად წყვეტენ ყველაფერს. ასევე გადასახედია თამბაქოს ფოთოლზე გადასახადიც, რომ არ ულირდეს ადამიანს და თამბაქო ხელით დაახვიოს. – აცხადებს ბახტურიძე.

თამბაქოს ინდუსტრიაში ადასტურებენ პროდუქციაზე ფასის ზრდას, თუმცა, ამას რამდენიმე მიზეზით ხსნიან.

სიგარეტი „გალუაზის“ იმპორტიორი, კომპანია „ჯიჯი 2011“-ის დირექტორი ზურაბ ჩიქოვანი აცხადებს, რომ სიგარეტზე ფასის ზრდა ჩვეულებრივი ბიზნესფაქტორების შედეგია. კერძოდ, მისი ინფორმაციით, კომპანიას საკმაოდ გაეზარდა ხარჯები, რომელიც ფასში აისახა.

– დიდ კომპანიაში ათასი რამე შეიძლება იყოს, მათ შორის ლარის კურსი. ამაზე ყველა ფაქტორი მოქმედებს, მათ შორის, კომპანიის შიდა ფაქტორები, – განმარტავს ჩიქოვანი.

მისი განცხადებით, 1 წლის განმავლობაში კომპანიამ ფასი 2-3 -ჯერ გაზარდა. რაც შეეხება თამბაქოს ინდუსტრიაში არსებულ შესაძლო კარტელს, ჩიქოვანი ამას კატეგორიულად გამორიცხავს.

– არც ჩვენი და ზოგადად, თამბაქოს ინდუსტრიის მხრიდან მასეთი რამე არ ხდება. დიდი კონკურენციაა ბაზარზე და მსგავსი რამ გამორიცხულია. ყველა კომპანიას თავისი პოლიტიკა აქვს. საუბარია საერთაშორისო კომპანიებზე, რომელთაც წარმომადგენლები ჰყავთ საქართველოში. როგორ წარმოგიდგენიათ მოლაპარაკებები? ერთმა შვეიცარიაში უნდა ილაპარაკოს., ერთმა ამერიკაში და ასე შემდეგ? ეს შეუძლებელია, – აცხადებს ჩიქოვანი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2017 წლის პირველ კვარტალში ქვეყანაში დაახლოებით 139. 5 ათასი დოლარის ღირებულების სიგარეტი შემოვიდა, წელს კი იმავე პერიოდში ამ მაჩვენებელმა 991. 9 ათასი დოლარი შეადგინა.

# ანზორ აბრალავა: „საქართველოში რევოლუციური კი არა, კონტრრევოლუციური სიტუაციაა“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში განვითარებულ პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს ანზორ აბრალავას.

**ანზორ აბრალავა:**

– რევანშისტული პოლიტიკური ძალები ბოლო დროს ისევ ამოძრავდნენ. ისინი მიეტმასნენ ქუჩაში გამოსულ შვილმოკლულ მშობლებს, რომლებიც სამართალს ეძებენ. ამ ხალხის შვილების მკვლელობები განსაკუთრებული სისასტიკით და სიმძაფრით გამოირჩევა. ეს საქმეები პროტესტის მორიგი ტალღისათვის გამოიყენეს იმათ, ვისაც დიდი ხანია, რევანში უნდა. ესაა ნაციონალური მოძრაობა და მისი ზოგიერთი დანაყოფი. ამ ძალებმა შექმნეს საინფორმაციო იდეოლოგიური პლაცდარმი. მათი იდეოლოგიით, ნაციონალურ მოძრაობას წარსული აღარ უნდა გაახსენონ. საპროტესტო რევანშისტულ მოძრაობას ხელმძღვანელობდა რუსთავი 2. სხვას რომ დაეწყო რევოლუციის მზადება, არ აპატიებდნენ. რუსთავი 2-ს პასუხს არავინ არაფერზე სთხოვს. თბილისის ქუჩის მოვლენები ძალიან ჰგავს ერევნისას.

***– რა საერთოს ხედავთ საქართველოში განვითარებულ მოვლენებსა და სომხეთში მომხდარ ხავერდოვან გადატრიალებას შორის?***

– თუნდაც, ქუჩიდან მოთხოვნების წამოყენებით. პაშინიანიც ქუჩიდან ადგენდა, ვინ როდის უნდა გადამდგარიყო. ჩვენ შემთხვევაში ხან მთავარი პროკურორის გადადგომა მოითხოვეს, ხან – პრემიერის, ხან – რამდენიმე მინისტრის. ამაში გადამწყვეტი იყო არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილის როლი. მათი მისამართით კარგად ითქვა, ჯობია, არასამთავრობო სექტორს დაუბრუნდნენო.

***– ეს იუსტიციის მინისტრმა აღნიშნა. მისი შეფასებით, ეს არასამთავრობოები პოლიტიკაში არიან ჩაბმული..***

– თეა წულუკიანმა ამას ადეკვატური შეფასება მისცა. მეც ვფიქრობ, რომ გავლენიანი არასამთავრობო სექტორი იმაში ერევა, რაშიც არ უნდა ჩაერიოს. ეს ხალხი პოლიტიკური სატელიტების ფუნქციას ასრულებს. ისინი ნაციონალებთან ერთად ცდილობდნენ, სათავეში ჩასდგომოდნენ ამბოხებულ მასას. აქციებზე „მიშა, მიშა-ს“ ძახილი უნდოდათ, მაგრამ მიხვდნენ, რომ ეს არ წაადგებოდათ და ტაქტიკა შეცვალეს. საბოლოოდ, არაფერი გამოუვიდათ და აქციების მონაწილე პოლიტიკანებმა კარიკატურული სახე მიიღეს. ნაციონალებს და მათ დამქაშებს ჰქონდათ სტუდენტური ენერგიის გამოყენების მცდელობა. სტუდენტობა, რომელიც ქუჩაში სხვა მიზნით გამოვიდა, ამ პირებს გაეცალა.

***– ნაციონალები ყველაზე მეტად შვილმოკლული ადამიანების ტრაგედიებით აპელირებდნენ.***

– სწორედ ამ ტრაგედიების გამოყენებით უნდოდათ რევანში. სააკაშვილი პირადად კარნახობდათ დირექტივებს. ნაციონალები კარავში იღებდნენ ინსტრუქციებს ყოფილი პრეზიდენტისაგან. სააკაშვილს ასეთ ამბებში გამოცდილება აქვს, მაგრამ ახლა თვითონაა დაბნეული და ამათთვის რა უნდა ერჩია! 2003 წელს, როცა სააკაშვილი რევოლუციონერებთან ერთად პარლამენტში შემოვარდა, დეპუტატი ვიყავი. კარგად მახსოვს მათ მიერ დაყრილი შპრიცები და მორფის ნახმარი ამპულები. ამის გამო უწოდა ელიზბარ ჯაველიძემ იმ პროცესებს „მორფინისტების რევოლუცია“. იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელიც იმ გადატრიალებას შეეწინააღმდეგა, დღესაც არ შეგვიცვლია ჩვენი პოზიცია. დანარჩენები სააკაშვილს ელაქუცებოდნენ. სააკაშვილს, რომელიც ჟვანიასთან და ბურჯანაძესთან ერთად იდგა, 2003 წელს არ დაუმალავს, რომ მოქმედებებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უთანხმებდა. საქართველოში ივანოვის ჩამოსვლა ამას ადასტურებს. სააკაშვილი და მისი ბანდა ახლაც რუსეთის დავალებებს ასრულებს. 2008 წელს, ომის დროს, მისი გუბერნატორები რუს ოკუპანტებს მეგზურობას უწევდნენ. რუსეთს ბოლო დროს თბილისში დაგეგმილი ჰქონდა ერევნის ოპერაციის გამეორება.

***– სომხეთის ხავერდოვანი რევოლუცია რუსეთის საწინააღმდეგო არ არის?***



– არა. ის რუსეთის მოწყობილია. რუსეთმა სომხეთს არ აპატია ევროატლანტიკური მიმართულებით სვლა და მოაწყო უსისხლო გადატრიალება. სააკაშვილსაც დავალება აქვს რუსეთიდან მიღებული. კრემლს უნდა გადატრიალება იმ დროს, როცა საერთაშორისო სასამართლო რუსეთს ბრალს უყენებს საქართველოში 2008 წელს მომხდარი მოვლენებისათვის. პრობლემა ისაა, რომ ხელისუფლება სააკაშვილის ქმედებებს ადეკვატურად ვერ პასუხობს. ამის მიზეზი ან არაკვალიფიციურობაა, ან – არ ვიტყვი, რა.

***– ხელისუფლება რას ვერ აკეთებს?***

– ვერც სიტყვიერად სცემს პასუხს მოღალატე პოლიტიკოსებს და ვერც საქმით. ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებებზე რეაგირებაა საჭირო.

***– ხელისუფლებამ ამ პოლიტიკოსებს გამოსვლების საბაბიც არ უნდა მისცეს. ხალხს უსამართლობა აწუხებს..***

– ყველა საქმე გამოძიებული უნდა იყოს. რომელი უწყების თანამშრომელიც გარეულია დანაშაულსა და საქმის მიჩქმალვაში, ყველა პასუხისგებაშია მისაცემი.

***– ამ სიტუაციაში მთავრობის ზოგიერთი წევრის შეცვლაც არ მიგაჩნიათ სწორად?***

– ქუჩაში ანტისახელმწიფოებრივი ძალების მიერ დაძახილის გამო არავინ უნდა გადააყენონ.

***– ქუჩის აქციებს ცალ-ცალკე აანონსებენ ლეიბორისტები და პატრიოტთა ალიანსი. შალვა ნათელაშვილის აზრით, დღეს საქართველოში რევოლუციური სიტუაციაა..***

– მათი ანონსები რიტორიკაა, ნაცმოძრაობა კი ღიად მოქმედებს. დღეს საქართველოში რევოლუციური კი არა, კონტრრევოლუციური სიტუაციაა. ადამიანის უფლებების დაცვას ამოფარებული ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი ძალები ნაცმოძრაობის მეთაურობით რაზმავენ დამქაშებს კონტრრევოლუციის მოწყობის მიზნით. ეს გერმანელებმაც შეამჩნიეს. გერმანელ მეცნიერებთან, კოლეგებთან კონტაქტები მაქვს. იმაში, რაც თბილისის ქუჩებში ხდებოდა, მათაც დაინახეს კონტრრევოლუციის მზადების ნიშნები. დარწმუნებული ვარ, კონტრრევოლუციონერებს ფიასკო ელით. იმაზე ვღელავ, რომ ქვეყანაში ნამდვილი, ჯანსაღი ოპოზიცია არ ჩანს. ოპოზიციად ითვლებიან მტრული ძალები. აკადემიურ წრეებში ბევრი ღირსეული, პატიოსანი პიროვნებაა. ქვეყანას ამ ადამიანების კონსოლიდაცია სჭირდება. ეს გასაკეთებელია, მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიები განსხვავებულ აზრს ბლოკავენ. საქართველოში სიტყვის თავისუფლება ერთ პატარა ჯგუფზე ვრცელდება, დანარჩენებისთვის ყველა კარი დახშულია.

# „ოცნებამ“ ადამიანების მწამებლები სამსახურებში დატოვა“

გულიკო ბალაძე

„ახალ თაობასთან“ საქართველოში ბოლო დროს შექმნილ ვითარებას ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია აფასებს.

***– ბატონო ვახტანგ, უცნაური სიტუაცია შეიქმნა, „ოცნების“ მოსვლიდან 6 წლის შემდეგ, ნაციონალები ითხოვენ იმ სისტემის დანგრევას, რომელიც თვითონ ნაცრეჟიმმა შექმნა და ამ სისტემის შემქმნელები არიან სააკაშვილი, ადეიშვილი, მერაბიშვილი, ბოკერია და სხვები. პოლიტიკურად და პოლიტოლოგიურად რა შეიძლება დავარქვათ ამას?***

– დანტემ თავის დროზე დაწერა „ღვთაებრივი კომედია“. ამ ვითარებას შეიძლება დავარქვათ „ქართული კომედია“. ყველაფერი კომიკურ ფორმაში გადავიდა. თქვენ სწორად ჩასწვდით არსს, ნაციონალები თავისივე შექმნილი სისტემის დანგრევას მოითხოვენ.

ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. ნაცები მათივე სისტემის დანგრევას კი არა, ამ საკითხის გამოყენებით, უკან დაბრუნებას ცდილობენ, ამავე სისტემით ყველას რომ გაგვისწორდნენ. ეს არის მათი მიზნების მთავარი არსი.

***– ნაცმოძრაობას უნდა, რომ გაგვისწორდეთ?***

– ბუნებრივია, ნაცმოძრაობას უნდა, ხელისუფლებაში დაბრუნდეს და ყველას გაგვისწორდეს. აბა, სხვას ვის ენდომება, თუ არა ნაცმოძრაობას – ფრანკენშტეინს (რუსული ზღაპრის გმირია, გველეშაპი, რომელსაც აქვს ოთხი თავი), რომელიც არის მოტორი ძალა. ფრანკენშტეინიდან მოხდა ნაცების ტრანსფორმაცია ოთხთავიან გველეშაპის სახედ.

მიხეილ სააკაშვილი კრემლის ინტერესებს ღიად ემსახურება. მისი ლუსტრაცია უკრაინაში მოხდა. მიხეილ სააკაშვილი დასავლეთში გაკოტრდა და ახლა ცდილობს კრემლთან დაამყაროს ურთიერთობა, კრემლიდან მიიღოს დაფინანსება და საქართველოში კრემლის საქმე გააკეთოს.



***– უკრაინის უსაფრთხოების სამსახურებს სააკაშვილის კრემლთან კავშირის დოკუმენტები აქვს?***

– უკრაინის უსაფრთხოების სამსახურებს დოკუმენტები, რა თქმა უნდა, აქვს, ამიტომ გააძევეს სააკაშვილი უკრაინიდან. სხვა ინფორმაციაც მაქვს – პრაღაში დაარსდა „უკრაინელ ხალხთა კონგრესი“, რომელმაც შექმნა პარალელური სტრუქტურები, უკრაინის პარალელური მთავრობა. ეს არის მოსკოვის პროექტი. ღონისძიება ტარდებოდა პრაღის ერთ-ერთ სასტუმროში. იმავე სასტუმროში, სადაც ტარდებოდა ეს ღონისძიება, იმავე პერიოდში ცხოვრობდა მიხეილ სააკაშვილი და ე.წ. კონგრესის დაარსების ღონისძიებაში მონაწილეობდა.

***– სააკაშვილს ამით რის მიღწევა სურს?***

– ამით სააკაშვილმა უკვე ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ის გადავიდა კრემლის მხარეს და რუსეთის ფინანსებით აპირებს მისი კარიერის განვითარებას. გასაგებია მისი ქმედება. მისი აქაური სატელიტებიც ასე იქცევიან. მათ ტატუნაშვილის რეზოლუციას ხმა არ მისცეს. კიდევ მრავალი ფაქტორია, რომელიც ამაზე მეტყველებს.

***– კერძოდ, რა ფაქტორებია?***

– თუნდაც სიტუაციის არევა და სისტემის დანგრევის მოთხოვნა. ქვეყანაში პოლიტიკური ქაოსი არა დასავლეთის, არამედ კრემლის ინტერესებშია. ლოგიკური ჯაჭვის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაცმოძრაობა უკვე მოსკოვის რელსებზე გადავიდა.

ამაში სააკაშვილს თავისი პარტნიორები ადანაშაულებენ. მაგალითად, „ევროპული საქართველოს“ შემადგენლობა თავისი მოძმეების ორგანიზებულ აქციებს გაემიჯნა. ტრაგიკული მოვლენები გამოიყენეს თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისთვის. ნაცმოძრაობა გველეშაპის სინდრომითაა შეპყრობილი. „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა წარმომადგენელმა სააკაშვილს „სასარგებლო იდიოტი“ უწოდა.

– „სასარგებლო იდიოტი“ რატომ არის? ხანდახან შეუძლიათ გამოიყენონ და ამიტომ?

– დიახ, როცა უნდათ, გამოიყენებენ.

***– არ დადგა დრო, რომ სამართალდამცავ სისტემაში რეალური ცვლილებები განხორციელდეს? 2012 წლის შემდეგ, ახლაა ისეთი სიტუაცია, ხმას ვერავინ ამოიღებს (თუ პოლიტიკური ნება ექნება), ისე შეუძლია ხელისუფლებას პროკურატურის რეალური რეფორმის განხორციელება, მთელი კადრების დათხოვნა და ახალი კადრების მიღება. თუკი არსებული კადრებიდან ვინმე მოინდომებს სამართალდამცავ სისტემაში ისევ მუშაობას, მას უნდა მოუწიოს დამტკიცება, რომ არ მონაწილეობდა სააკაშვილის ან შემდგომ პერიოდში საქმის გაყალბებასა და დანაშაულობებში.***

– დიახ, რეალური ცვლილებების დრო დადგა. ვფიქრობ, ასეც მოხდება, მგონი, მთავრობა იცვლება. ეს დადებითი მომენტია. იმ ფონზე, რაც არსებობს (არაპროფესიონალიზმისა და სრული განუკითხაობის ფონზე), ბატონმა გახარიამ კარგად აჩვენა, რომ კრიზისების მართვის კარგი ოსტატია. ის სხვა პოსტზეც მუშაობდა. ჩანს, გახარია ბევრად სჯობს არსებულ მთავრობას კვირიკაშვილის თამადობით. ის ბიზნესომბუდსმენიც იყო და თავი გამოიჩინა სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობის დროს.

ვნახოთ, რა მოხდება. კვირიკაშვილი ბანკირი იყო, გახარია – ბიზნესმენი. ინფრასტრუქტურის მინისტრ მაია ცქიტიშვილსაც კარგი უნარ-ჩვევები აქვს. ბატონ კახი კახიშვილის მთავარ პროკურორად დანიშვნაც ძალიან დადებითი მომენტი იქნება.

კახი კახიშვილი არის რეფორმატორი მინისტრი. პენიტენციური სისტემა სანიმუშო სახელმწიფო სტრუქტურად გადააქცია. ვნახოთ, რა იქნება. მიდგომები სწორია, ბოლოდროინდელი მოვლენები აჩვენებს, რომ მმართველ ძალას უნდა, ცვლილებები განახორციელოს.

***– აქამდე მეგონა, გამოსვლები სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით დაიწყებოდა იმ ადამიანების ორგანიზებით, რომლებიც სააკაშვილის პირობებში იყვნენ რეპრესირებულნი. მაგალითად, პირადად თქვენ.***

– ეს საკითხი დღის წესრიგიდან დღესაც არ მოხსნილა, შეიძლება მომავალში კიდევ დადგეს დღის წესრიგში. ჩემ საქმეზე გამოძიება დაწყებულია, წამების, არაადამიანური მოპყრობისა და საქმის ფალსიფიკაციის ფაქტზე. საგამოძიებო ჯგუფის წარმომადგენლები ჩემთან და ჩემს ადვოკატებთან თანამშრომლობენ. პროცესი მიდის, მაგრამ დრო სჭირდება. გაამართლეს პოლიტიკური მოძრაობა „იმედის“ წევრები. ფოტორეპორტიორებისა და კილურაძის საქმეები სასამართლოშია გადასული.

***– „ახალ თაობასთან“ ინტერვიუებში რეპრესირებული პიროვნებები (მათ შორის, თქვენც) აცხადებენ, რომ მწამებლები, საქმის გამყალბებელი გამომძიებლები კვლავ მუშაობენ სამართალდამცავ სისტემაში.***

– ეგ მართალია. თუმცა, დოკუმენტურად უნდა იყოს დადასტურებული, ესა თუ ის სუბიექტი მონაწილეობდა კონკრეტული საქმის ფალსიფიკაციაში თუ არა. ჩემს საქმეზე გამოძიებამ ისეთი სერიოზული რამ დაადგინა (რაც მეც არ ვიცოდი), რომ საკმაოდ მძიმე ბრალდებით შეიძლება გასამართლდნენ რეჟიმის წარმომადგენლები.

არ მაქვს უფლება, გავახმაურო გამოძიების მიერ ახლა დადგენილი სერიოზული ფაქტი, მაგრამ გეტყვით, რომ მტკიცებულებების გაყალბების დამადასტურებელი მტკიცებულებებიც არსებობს.

***– შეგვიძლია დავასახელოთ თქვენს საქმეში მონაწილე პირები, რომლებიც ისევ მუშაობენ?***

– ჩემს საქმეში სუსის მაღალჩინოსნები ოთარ ორჯონიკიძე, ლადო დათაშვილი და ვალერი ზუბაძე მონაწილეობდნენ, რომლებიც ისევ სუსში მაღალ თანამდებობებზე მუშაობენ.

# დავით ჭიჭინაძე: „ქვეყანა იხრჩობა ვალებში, მთავრობა არაფერს აკეთებს“



– ქვეყანა იხრჩობა ვალებში, მთავრობა არაფერს აკეთებს, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, დავით ჭიჭინაძემ ჟურნალისტებთან პარლამენტში განაცხადა.

– ჩვენ ვისაუბრეთ „იუნისეფის“ კვლევებზე, რატომღაც ეს სასაცილო ჰგონიათ, მაგრამ კვლევებიდან გამომდინარე, საკმაოდ მძიმე სურათია შექმნილი ქვეყანაში და მე ვფიქრობ, ეს არის ზუსტად საფუძველი ქვეყანაში უსამართლობის განცდის და მთავრობის გადაყენების საკითხი არის დღის წესრიგში დასაყენებელი. როდესაც ჩვენ ვერ ვართმევთ, ვერც ერთი მიმართულებით თავს იმას, რომ სამართლიანობა აღვადგინოთ, ამას ვავალებთ იმ კომისიას, უმცირესობას, რომელიც ამ ქვეყანაში წლების განმავლობაში ნერგავდა უსამართლობას. ამასთან, ეკონომიკური გამოწვევები ჩვენი გუნდისთვის არის დაუძლეველი და მე ვფიქრობ, რომ ასეთ შემთხვევაში უნდა მოვითხოვოთ მთავრობის გადაყენება.

გუშინ მხოლოდ ვისმენდი და პოზიცია არ დამიფიქსირებია, დღეს ვაფიქსირებ, რომ ყველასთვის იყოს გასაგები და ეს არ ხდებოდეს სარდაფებში. ქვეყანა იხრჩობა ვალებში, მთავრობა არ აკეთებს არაფერს ჭარბვალიანობის შესამცირებლად, – განაცხადა დავით ჭიჭინაძემ.

**იპრესს**

# „ყატარის ავიახაზებმა“ დოჰას მიმართულებით ფრენების სიხშირე გაზარდა




„ყატარის ავიახაზები“ 1 ივნისიდან დოჰას მიმართულებით კვირაში 18 პირდაპირ ფრენას ასრულებს.

– ფრენების 18 სიხშირემდე გაზრდა ბაზარზე გაჩენილმა მოთხოვნამ განაპირობა. ყველა ფრენა არის პირდაპირი, ბაქოში გაჩერების გარეშე. 1 ივნისამდე კვირაში 7-ჯერ ფრენებს ბაქოს გავლით ვახორციელებდით, ხოლო 7 ფრენა იყო პირდაპირი. ახლა კი 18-ვე სიხშირე პირდაპირია, – განუცხადეს „კომერსანტს“ კომპანიაში.

ყატარის ავიახაზები საქართველოს საავიაციო ბაზარზე 2012 წლის თებერვალში შემოვიდა. ხუთვარსკვლავიანმა ავიაკომპანიამ ოპერირება დოჰა-ბაქო-თბილისი თბილისი-ბაქო-დოჰას საჰაერო ხაზზე კვირაში 7 სიხშირით დაიწყო, 2016 წლის დეკემბრიდან კი 4 ახალი სიხშირე დაამატა შუალედური (ბაქო) პუნქტის გარეშე

ყატარის ავიახაზების ბოინგ B787, აერობუს A350, A380, A319 და ზოგიერთ A320 და A330 ტიპის ავიახომალდები აღჭურვილია თანამედროვე Wi-Fi და GSM სისტემებით.

მსოფლიო ავიაბაზრის სტატისტიკა აჩვენებს, რომ „ყატარის ავიახაზები ტვირთის გადაზიდვის სერვისში მესამეა. ყატარის ავიახაზების სატვირთო ფლოტი შედგება 1 აერობუსA330Fs, 11 ბოინგ B777 და 1 ბოინგ B747 ტიპის ხომალდებისგან.

**კომერსანტი**

# რა ნაბიჯების გადადგმა მოუწევს მთავრობას ჰაერის დაბინძურების პროცესის შესაჩერებლად?



გარემოს ეროვნული სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი თამარ ბაგრატია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მთავარ მიზეზად მშენებლობებს და ავტომობილების გამონაბოლქვს ასახელებს. ბაგრატია აცხადებს, რომ მოძველებული ავტოპარკი და ტექნიკურად გაუმართავი ავტომობილები რეგულაციას უნდა დაექვემდებაროს. მისივე განმარტებით, ეს პროცესი საზოგადოების უკმაყოფილებას გამოიწვევს, თუმცა პრობლემა საჩქაროდ უნდა მოგვარდეს.

– პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია ყველა ტიპის ავტომობილის ტექნიკური ინსპექტირების შემოღება. ბუნებრივია, ეს პროცესი გარკვეულ სოციალურ უკმაყოფილებას გამოიწვევს, ავტომფლობელთა ნაწილს ტრანსპორტის გაჩერება, ხოლო ნაწილს დამატებითი თანხების დახარჯვა მოუწევს იმისათვის, რომ ავტომობილის გაუმართაობა აღმოფხვრას. კარგად უნდა შეფასდეს ის პოზიტიური მხარეები, რასაც საზოგადოება მიიღებს სუფთა გარემოს შენარჩუნებით, – აცხადებს თამარ ბაგრატია. მისივე მტკიცებით, ამ პრობლემაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის წილიც ძალიან დიდია და სახელმწიფომ ამ სფეროში მნიშვნელოვანი ინვესტიცია უნდა განახორციელოს.

ავტომობილების გარდა, გარემოს ეროვნული სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელის განმარტებით, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე გავლენას ახდენს მშენებლობები და სამშენებლო მასალების დაურეგულირებელი ტრანსპორტირებაც. ამ კუთხით, თამარ ბაგრატია მკაცრი სტანდარტების შემოღებას და რეგულაციების აღსრულების კონტროლს ითხოვს. მისი თქმით, სამშენებლო მასალები და სალებავები დიდი რაოდენობით ტყვიასაც შეიცავს და აუცილებელია, ამ მხრივ კვლევებიც ჩატარდეს.

**კომერსანტი**

# სადაზღვევო კომპანიების მოგება გაიზარდა




დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სტატისტიკის მიხედვით, 2018 წლის პირველ კვარტალში სადაზღვევო კომპანიების წმინდა მოგებამ 7,57 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 1,9 მლნ ლარით მეტია.

ამავე მონაცემების მიხედვით, 17 სადაზღვევო კომპანიის შემოსავალმა 2018 წლის პირველ კვარტალში 164 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდს 21 მილიონი ლარით აჭარბებს.

რაც შეეხება, სადაზღვევო კომპანიების აქტივებს, საანგარიშო პერიოდში მან 650 მილიონს მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით 65 მილიონით მეტია. ასევე გაიზარდა კაპიტალიც – 145 მლნ-დან 178 მლნ ლარამდე.

**ბპნ**

# უცხოური ინვესტიციების შემცირება პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკასთან



2018 წლის I კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირებას „კომერსანტთან“ ეკონომიკის დოქტორი რატი აბულაძე ეხმაურება. მისი განცხადებით, პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ 279.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ განხორციელებული ინვესტიციების რაოდენობით ლიდერობს გაერთიანებული სამეფო (82.7მლნ დოლარი), სამეულში შედის აზერბაიჯანი (51 მლნ დოლარი) და ჩინეთი (41.6 მლნ დოლარი). ხუთეულს აბოლოებს ნიდერლანდები (32.3 მლნ დოლარი) და აშშ (23.8 მლნ). ასევე, პირველ კვარტალში ინვესტიციების მნიშვნელოვანი მოცულობა განხორციელდა ლუქსემბურგიდან (18.6 მლნ) და პანამიდან (16.9 მლნ).

როგორც აბულაძე აცხადებს, საინვესტიციოდ მიმზიდველობას ინარჩუნებს საფინანსო სექტორი (110.6 მლნ), მშენებლობის სექტორი (69.1 მლნ) და დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი (40.2 მლნ). ამასთან, ინვესტორების ინტერესები შემცირდა სოფლის მეურნეობისა და კავშირგაბმულობის სექტორის მიმართ.

მისი ინფორმაციით, სამწუხაროდ, ბოლო შვიდ წელიწადში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2018 წლის I კვარტალში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აჩვენა.

– გავიზიარებ საქსტატის შეფასებას, რომელიც შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზად მიიჩნევს რამდენიმე საწარმოს გადასვლას საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში, ასევე, არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირებას. თუმცა ასევე, აღვნიშნავ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა კვლავ რჩება ხელისუფლებისათვის რთულ ამოცანად, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური კონტრასტის გამო, – აცხადებს რატი აბულაძე.

როგორც ეკონომიკის დოქტორი აცხადებს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკასთან. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება უცხოელი ინვესტორების ნდობისა და მათი ინტერესების შემცირების ერთგვარი სიგნალია. იგი ასახავს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის ზრდის არაეფექტიან მიდგომებს (ცალკეულ სფეროში);

ეკონომიკის სექტორების მიმზიდველობასთან. აღმასრულებელი უწყებები ეფექტიანად ვერ ახდენენ ეკონომიკის სექტორების საინვესტიციო პრომოუშენს, დროულად ვერ ამთავრებენ პროექტებს, აგვიანებენ რეფორმირების პროცესებს. მაგალითად, მსოფლიოში, კავშირგაბმულობის სექტორი, ინტერნეტ სივრცე და ბაზარი არის მომგებიანი და საინვესტიციოდ მიმზიდველი სფერო. საქართველოში, გამომდინარე იმისა, რომ ინტერნეტიზაციის პროექტი ვერ დასრულდა, ქვეყანა კარგავს მნიშვნელოვან შემოსავლებს;

საპრივატიზაციო ობიექტების რაოდენობასთან. საინვესტიციოდ მიმზიდველი გასაყიდი ობიექტების შემცირებასთან;

მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ ფონთან. ქვეყანაში მცირეა საშუალო კლასი, დიდ ნაწილს აქვს დაბალი შემოსავლები ან ვალი. ინვესტორები მხედველობაში იღებენ მცირე ბაზარს, დაბალი მსყიდველობითუნარიანობას და ეკონომიკური პროგრამების სუსტ ეფექტს;

გეოპოლიტიკურ რისკებთან, პოლიტიკურ გაურკვევლობასთან;

ეკონომიკური დიპლომატიის მასშტაბებთან ჯამში, აღვნიშნავ, რომ ქვეყანას გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი, იმისათვის, რომ ამაღლდეს ქვეყნის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა, მნიშვნელოვნად გაიზარდოს უცხოური და შიდა საინვესტიციო აქტივობა. თუმცა, ამ ყველაფერს ხელს უშლის საკადრო პოლიტიკა და კადრების „ჩაძირვის სისტემა“.

საქართველოში ყველაზე წარმატებული პოლიტიკა ეს არის საზოგადოებრივად და აკადემიურად აქტიური რესურსის „ჩაძირვის პოლიტიკა“, რაც ძველი ძალაუფლების შენარჩუნებისა და მოძრაობაში მოყვანის ტექნოლოგიაა. „ჩაძირვის პოლიტიკის“ საფუძველზეც ქვეყანაში ნარჩუნდება:

ცვალებადი და არამყარი პოლიტიკური და ეკონომიკური კონტრასტი; პოლიტიკური და ინფორმაციული ქაოსი; კადრების დეფიციტი, სადაც შესაძლებლობების ზღვარი მხოლოდ ძველ პოლიტიკურ შესაძლებლობებზე გადის; მმართველობითი და პოლიტიკური აზრის სასურველი მიმართულებით ფორმირება და კონტროლი (ასეთი მოცემულობა ქმნის ქართულ „მმართველობით ბუფერს“);

ჯამში, „ჩაძირვის პოლიტიკა“ სასიკეთო გავლენას არ ახდენს ევროპული და ევროატლანტიკური თანამშრომლობის გაღრმავებაზე, საინვესტიციო პოტენციალის ათვისებასა და უცხოელი ინვესტორების აქტივობაზე. სწორედ ჩაძირვისა და ვადაგასული პოლიტიკის მიზეზია ქვეყნიდან ადამიანური რესურსის (სხვა რესურსიც) გადინება, საზოგადოების დაბალი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა.

დაბოლოს, ქვეყანას გააჩნია რესურსი, შექმნას ახალი პოლიტიკური გარემო, რომელიც სახელმწიფო პროგრამებითა და ახალი პოლიტიკური ტექნოლოგიებით უზრუნველყოფს უცხოური ინვესტიციების ზრდას, ქართული კაპიტალდაბანდებისა და შიდა ინვესტირების გააქტიურების პირობებს. სწორედ ამიტომ, ახალი პოლიტიკური რესურსი და ქარიზმატული ენერგია გახდება ქართული ეკონომიკის ზრდისა და საზოგადოების აქტივიზების „ლოკომოტივი“.

**კომერსანტი**

# რატომ გადიან ბაზრიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციები




ბაზრიდან ბოლო ერთი წლის განმავლობაში 15 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გავიდა. აქედან, ერთი თვის განმავლობაში ლიცენზია საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2 ორგანიზაციას შეუჩერა.

სპეციალისტები პროგნოზირებენ, რომ შემცირების ტენდენცია ისევ გაგრძელდება, რის მიზეზადაც სებ-ის იმ რეგულაციას ასახელებენ, რომლის მიხედვითაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს საწესდებო კაპიტალის ჯერ 500.000 ლარამდე, შემდეგ კი 1.000.000 ლარამდე გაზრდა მოუწევთ.

ეროვნული ბანკის სტატისტიკის მიხედვით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა უკვე 15 ერთეულით შემცირდა. სებ-ის მონაცემებით, თუ 2017 წლის აპრილში ბაზარზე 88 მიკროსაფინანსო ოპერირებდა, 2018 წლის აპრილში მათი რაოდენობა 73 გახდა.

– მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემცირება პირველ რიგში რეგულაციებმა გამოიწვია, რომელიც დაახლოებით წელიწადნახევრის წინ მიიღეს და საწესდებო მინიმალური კაპიტალი, ასევე სხვადასხვა რეზერვები დაუწესეს. ამან პირდაპირ გამოიწვია ის, რომ პატარა მიკროსაფინანსოებისთვის, ასეთ პირობებში ბაზარზე ოპერირება მომგებიანი უკვე აღარ არის. მათ ვეღარ მოხერხეს იმ მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომელიც ეროვნულმა ბანკმა დაუწესა. შესაბამისად, ლოგიკა მარტივია, მათ უწევთ ბაზრის დატოვება. ანუ, საქმიანობის ამ სფეროდან საერთოდ გასვლა, – აცხადებს საბანკო პროდუქტების სპეციალისტი დავით კიკვიძე „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას.

მისი თქმით, 1-ელი სექტემბრიდან საწესდებო კაპიტალის ნახევარ მილიონამდე, ხოლო იანვარში 1 მილიონამდე გაზრდა, მიკროსაფინანსოების შემცირების ტენდენციის გაგრძელებას გამოიწვევს.

– დიდი ალბათობით, მიკროსაფინანსოების შემცირების ტენდენცია გაგრძელდება. იმიტომ, რომ ასეთი მაკაცრი რეგულაციების დაწესება, მათთვის მარტივი საკითხი არ არის.

მიკროსაფინანსოების უმრავლესობა საშუალო დონის სიდიდის ორგანიზაციები არიან და მათთვის ასეთი დიდი მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის, დამატებით სხვადასხვა რეგულაციების დაკმაყოფილება, ძალიან რთულია. ამას ემატება ისიც, რომ მათ ე.წ. ანაბრების მოზიდვის უფლება აღარ აქვთ. შესაბამისად, ძალიან დიდია ალბათობა, რომ უმრავლესობა ბაზრიდან გავიდეს, – აცხადებს დავით კიკვიძე.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემცირების მიზეზებზე განსხვავებული მოსაზრება აქვს „მიკროსაფინანსო ასოციაციის“ თავმჯდომარე ბესო შენგელიას. როგორც ის „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, სავარაუდოდ, ეს კონკურენციამ გამოიწვია.

თუმცა, შენგელიას თქმით, სებ-ის და მთავრობის მიერ შემუშავებული რეგულაციები მათ შემცირების ტენდენციას აუცილებლად გააგრძელებს.

– პირდაპირ რეგულაციებს ვერ დავაბრალებდი. იმიტომ, რომ ამ პერიოდში ისეთი მნიშვნელოვანი რეგულაციები ჯერ არ ამოქმედებულა. ალბათ, მათი შემცირება უფრო კონკურენციის მომენტს უკავშირდება. თუმცა, შემცირების ტენდენცია აუცილებლად გაგრძელდება. ეს მხოლოდ საწესდებო კაპიტალის მინიმალური ზღვრის დაწესებასთან არ არის დაკავშირებული.

იცით, რომ მზადდება რეგულაციების ძალიან დიდი პაკეტი, მათ შორის საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვრის დაწესება, საწესდებო, საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოცულობა. ასევე, 1-ელი იანვრიდან უკვე განხორციელდება ყველა მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის რეგულაციების ახალი ტალღა, რომელიც სპეციალურ ფინანსურ კოეფიციენტებს გულისხმობს და ის უნდა დააკმაყოფილონ. ასე რომ, საკმაოდ მკაცრ რეგულაციებს ველით, რაც მიკროსაფინანსოების ბაზარზე აუცილებლად აისახება და მათ რაოდენობას კიდევ უფრო შეამცირებს, – აცხადებს ბესო შენგელია.

**ბპნ**

# ვინ არის და როგორ აღმოჩნდა ინტერპოლით ძებნილი პირი აქციაზე

## პროკურატურის განმარტება



როგორ აღმოჩნდა 2013 წელს დაკავებული, ინტერპოლით ძებნილი პირი აქციაზე?

ეს კითხვა აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ თქვა, რომ რუსთაველის გამზირზე ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი პირი დააკავეს.

შსს-ში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე ითქვა, რომ დაკავებული ყაჩაღობისა და მკვლელობისთვის იძებნებოდა.

მედიამ გაარკვია, რომ გახარიას უწყება 1982 წელს დაბადებულ ყაზახეთის მოქალაქე, ბესლან კაიმის ძე ლორსანოვზე საუბრობდა, რომელიც 2013 წელს ქართველმა სამართალდამცავებმა ერთხელ უკვე დააკავეს.

აღსანიშნავია, რომ ლორსანოვს თბილისის საქალაქო სასამართლომ რუსთაველზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის 10-დღიანი პატიმრობა შეუფარდა.

საქართველოს მთავარი პროკურატურა აღნიშნულ მოქალაქეზე „ნიუპოსტთან“ ამბობს:

„2014 წლის 5 სექტემბერს, პროკურატურის შუამდგომლობით უზენაესმა სასამართლომ დასაშვებად ცნო ბ.ლ.-ს ყაზახეთის რესპუბლიკაში ექსტრადირება, თუმცა ის მიიმალა და ამ დრომდე იძებნებოდა ქართველი სამართალდამცველების მიერ. ამჟამად ბ.ლ. დაკავებულია ადმინისტრაციული წესით. მის მიმართ გატარდება კანონით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი ღონისძიება, რათა გადაეცეს ყაზახეთის მხარეს და წარდგეს ადგილობრივი მართლმსაჯულების წინაშე.

# მარნეულის მერმა თემურ აბაზოვმა ელჩინ ალახვერდიევს სახეში შეაფურთხა, მერე აიძულა, მოეშარდა ჭიქაში და შარდით მოებანა სახე

## რატომ დააკავეს მარნეულის მერი

საქართველოს პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ქ. მარნეულში მოქალაქე ელჩინ ალახვერდიევის მიმართ განხორციელებული დამამცირებე-



ლი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე ბრალდებულად იქნა დაკავებული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი თემურ აბაზოვი, ხოლო ამავე მოქალაქის ცემის ფაქტზე, სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს პარლამენტის წევრის, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ – აზერ სულეიმანოვის, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, პარტია „ქართული ოცნებიდან“ – რამინ ალახვერდიევის და მარნეულის მერის ნათესავის, მოქალაქე ე.გ-ს მიმართ.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2018 წლის 10 ივნისს, ელჩინ ალახვერდიევი იმყოფებოდა ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე გამართულ საპროტესტო აქციაზე, სადაც მარნეულის მუნიციპალიტეტის მერზე, თემურ აბაზოვზე განაწყენებულმა, სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მეშვეობით განახორციელა პირდაპირი ვიდეოჩართვა, რა დროსაც, თემურ აბაზოვის მეუღლეს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. იმავე დღეს, ღამის საათებში, მას დაუკავშირდა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი რაგიმ ასკეროვი, რომელმაც სთხოვა შეხვედრა. რ.ასკეროვის მოთხოვნით ისინი შეხვდნენ ერთმანეთს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მარნეულის ოფისში, რომელიც მდებარეობს ქ. მარნეულში, რუსთაველის ქუჩაზე. ოფისში ასევე იმყოფებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ აზერ სულეიმანოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, პარტია „ქართული ოცნებიდან“ რამინ ალახვერდიევი, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის ნათესავი ე.გ და სხვა პირები. პარლამენტის წევრმა აზერ სულეიმანოვმა ელჩინ ალახვერდიევს მოსთხოვა აეხსნა, ვისი დავალებით განახორციელა სოციალური ქსელის პირდაპირ ეთერში ზემოაღნიშნული ვიდეოჩართვა, რის შემდეგაც აზერ სულეიმანოვმა, რამინ ალახვერდიევმა და მოქალაქე ე.გ-მ ელჩინ ალახვერდიევს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა.

აღნიშნულის შემდეგ, ელჩინ ალახვერდიევი მარნეულის საკრებულოს წევრებმა ჯეიხუნ ჩოიდაროვმა და რამინ ალახვერდიევმა წაიყვანეს ქ.მარნეულში, ე.წ. „ჟეჟებეს“ რესტორნის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მათ ელოდებოდა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი თემურ აბაზოვი. მისვლისთანავე თემურ აბაზოვმა ელჩინ ალახვერდიევს შეაფურთხა სახეში და მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, შემდეგ აიძულა ჩართულიყო ფეისბუქის პირდაპირ ეთერში, მოეხადა ბოდიში და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიეყენებინა საკუთარი ცოლისთვის, ბოლოს კი მარნეულის მუნიციპალიტეტის მერმა თემურ აბაზოვმა ძალადობით, ღირსების შელახვის მუქარით, ელჩინ ალახვერდიევი აიძულა მოეშარდა ჭიქაში და შარდით მოებანა სახე.

თემურ აბაზოვი დაკავებულია საქართველოს სსკ-ს 1443 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით 5-დან 10 წლამდე ვადით; რამინ ალახვერდიევის და მოქალაქე ე.გ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ს 126-ე მუხლის 11 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით.

საქართველოს პარლამენტის წევრის აზერ სულეიმანოვის მიმართ გამოტანილი იქნა დადგენილება საქართველოს სსკ-ს 126-ე მუხლის 11 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომელიც წარედგინება საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესებისა და ვადების დაცვით. აღნიშნული დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით.

საქმეზე ტარდება ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები დანაშაულში მონაწილე სხვა შესაძლო პირთა დადგენა-მხილების მიზნით.

* * *

მამაკაცს, რომელიც მარნეულში არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი გახდა, გაუპატიურებით დაემუქრნენ.

სკანდალური განცხადება „მაესტროსთან“ ელჩინ ალახვერდიევის ადვოკატმა გააკეთა.

– რამდენიმე პირი მონაწილეობდა ამ დანაშაულის ჩადენაში. ასევე იყო სექსუალური მუქარაც. თუ ბოდიშს არ მოიხდიდა და ამას პირდაპირ ეთერში, ფეისბუქის გვერდით არ გაავრცელებდა, ბოთლზე დასვამდნენ. ასეთი მუქარა იყო, სექსუალური ხასიათის, – განაცხადა ადვოკატმა.

კითხვაზე, გაუპატიურების მუქარა მოდიოდა თუ არა მარნეულის მერისგან, უფლებადამცველმა დადებითი პასუხი გასცა.

საქართველოს პროკურატურის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ პარლამენტის წევრის აზერ სულეიმანოვის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნაა დაწყებული.

პროკურატურის განცხადებით, მიუხედავად დევნის დაწყებისა, სულეიმანოვისთვის სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნის საკითხი არ დგას.

* * *

გუშინ საღამოს ნაციონალური მოძრაობის დეპუტატ აზერ სულეიმანოვს ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურაში ბრალი ოფიციალურად წარუდგინეს.

პარლამენტის წევრი წაყენებულ ბრალდებას არ ეთანხმება და ამბობს, რომ საქმე პოლიტიკურად მოტივირებულია. ის ასევე აცხადებს, რომ მოქალაქის მიმართ არაადამიანური მოპყრობის საქმეში მონაწილეობა არ მიუღია.




– ეს პროკურატურის მორიგი პოლიტიკური თამაშია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების წინააღმდეგ. ეს იყო უბრალოდ შაბლონური კითხვები, მე არ ვარ დამნაშავე ადამიანი. ვითომ იყო ცემის ფაქტი, მაგრამ ერთი რამ არ მესმის: ეს ადამიანი, რომელიც იყო სარალიძის მხარდამჭერ აქციაზე, რომელიც იყო პირდაპირ ჩართვაზე, ეს ადამიანი რამდენიმე წელია „ქართული ოცნების“ აქტიური მხარდამჭერია და მოვიდა და ჩემი თხოვნა იყო ეს. ადამიანი რატომ აკეთებდა განცხადებებს „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით. გამოდის ასე, რომ „ოცნების“ 2 წევრს შორის მოხდა დაპირისპირება და ივანიშვილის და თემურ აბაზოვის ადვოკატი გამოვდივარ პროკურატურაში. სულ იყო 2 წუთით ჩემთან ეს კაცი ჩაიხანაში, მეგონა, რომ წავიდა სახლში და წავიდა „ოცნების“ დეპუტატებთან. მე რა შუაში ვარ?– განაცხადა აზერ სულეიმანოვმა.



მიუხედავად პასუხისგებაში მიცემისა, აზერ სულეიმანოვისთვის დეპუტატის მანდატის შეწყვეტა ამ ეტაპზე არ იგეგმება.

პროკურორი ჯარჯი წიკლაური აცხადებს, რომ მას ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენა ედება ბრალად, ამიტომ პროკურატურა აღკვეთის ღონისძიებად არასაპატიმრო ღონისძიებას – გირაოს მოითხოვს, თუმცა რამდენს, ჯერ უცნობია.

პროკურორის თქმით, სასამართლოს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, დადგება თუ არა სულეიმანოვისთვის პარლამენტის წევრის სტატუსის შეჩერება საჭირო.

# ნუკრიანში მცხოვრებ აშშ-ის მოქალაქეს და მის მეუღლეს თავს დაესხნენ



სოფელ ნუკრიანში მცხოვრებ ამერიკელ წყვილს 12 ივნისს თავს დაესხნენ.

როგორც ჯეფი ატეფ ეზზატ აზიზი და მისი მეუღლე აცხადებენ, მას შემდეგ, რაც ამავე სოფელში მცხოვრებ მამაკაცს, მათი კუთვნილი მაღაზიიდან ღვინის მიცემაზე უარი უთხრეს, ის მათ მოკვლით დაემუქრა და ავტომანქანა ნაჯახით დაუზიანა.

ადგილზე მისულმა პოლიციამ მამაკაცი დააკავა, თუმცა რამდენიმე საათში გაათავისუფლა. ამერიკელი ცოლ-ქმარი დამნაშავის დაკავებას და მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საქმის გადაკვალიფიცირებას ითხოვს. მათ მორიგი თავდასხმის ეშინიათ, მათი ინფორმაციით, მამაკაცი, რომელიც მათ თავს დაესხა, მკვლელობისთვის არის ნასამართლევი.

დაზიანებული ავტომანქანა ექსპერტიზაზეა გადაყვანილი. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება 187-ე მუხლით დაიწყო, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას გულისხმობს.

# გორში 67 წლის კაცმა რძალსა და მასთან ერთად მყოფ პირს სცემა



გორში ოჯახში ძალადობის ბრალდებით 67 წლის კაცი დააკავეს. როგორც ირკვევა, ბრალდებული ფიზიკურად გაუსწორდა რძალს და მასთან ერთად მყოფ ადამიანს.

შემთხვევას არასრულწლოვანიც ესწრებოდა.

როგორც „ნიუპოსტს“ შს სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის საფუძველზე დაიწყო, რაც ოჯახში ძალადობას გულისხმობს.

# ოზურგეთში ოჯახს ეზოში დაბმული ძროხა მოპარეს



ქურდობის ფაქტი მოხდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთში. შათირიშვილების ოჯახს ეზოში დაბმული ძროხა მოპარეს.

ამის შესახებ „გურიის მოამბეს“ ადგილიდან, დაზარალებულის მეზობელმა აცნობა.

მისი თქმით, ა.შ-ს საცხოვრებელი სახლიდან, რამდენიმე მეტრის მოშორებით შემოღობილი მიწის ნაკვეთი აქვს, სადაც ძროხას აბალახებს ხოლმე. საღამოს საათებში, როცა ოჯახის უფროსი ადგილზე მივიდა, ჭიშკარი ღია დახვდა, საქონელი კი მოპარული.

შემთხვევა სამი დღის წინ მოხდა. ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციით, ოჯახს პოლიციისთვის არ მიუმართავს.

# ჩოხატაურში ახალგაზრდა მამაკაცი ხეზე ჩამომხრჩვალი იპოვეს



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგოლესუბანში, 30 წლამდე მამაკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

როგორც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა, ირაკლი კუჭავამ გვითხრა, ახალგაზრდა მამაკაცი ორი დღის წინ, გვიან ღამით საკუთარ ეზოში ხეზე ჩამომხრჩვალი იპოვეს.

თუ რა გახდა თვითმკვლელობის მიზეზი, კუჭავას ამის შესახებ ინფორმაცია არა აქვს:

– ღამით მეზობლებმა ნახეს, მისი საცხოვრებელი სახლის ეზოში ხეზე ჩამომხრჩვალი. მიზეზი არ ვიცი, პირადად ვიცნობდი მას, ლევანი ერქვა და ძალიან კარგი ბიჭი იყო. ჩოხატაურში ერთ-ერთ ავტოსამრეცხაოში მუშაობდა. ობოლი ბიჭი იყო, ახლობლებმა გაზარდეს, – გვითხრა მერმა.

# „მზიურში“ გიგის ჯიხური გაქურდეს



სოციალურ ქსელში ნინჩო ჯიბლაძე წერს, რომ 15 წლის გიგი ანთაძის სავაჭრო ჯიხური „მზიურში“ გაქურდეს

– ეს ისტორია, რასაც გიამბობთ, არის კოშმარი – გახსენებაც არ მინდა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ყველამ უნდა იცოდეს. გუშინ მთელი დღე ვფიქრობდი, ნეტა, სხვა ქვეყანაშიც თუ მოხდებოდა მსგავსი რამ?

გიგისთან რომ მივედით (ყველამ ვიცით ხო გიგი – პატარა ბიჭი, რომელიც მზიურში ნატურალურ წვენებს ყიდის), ძალიან უსიამოვნო ამბავი მოგვიყვა გიგის დედამ; ერთ კვირაში გიგისთვის ჯერ წვენსაწური აპარატი მოუპარავთ, მერე კი ნავაჭრი და დაგროვილი თანხა! რა უნდა იწამო ამის მერე ადამიანმა; გიგის, რომელიც მართლა სიმბოლოა შეუპოვრობის, შრომის და სიკეთის, რომელსაც ყველამ ვიცით, რომ პრობლემა აქვს, ვიღაც, არც ვიცი რა ვუწოდო, მიდის და ქურდავს.

გული მქონდა ცუდად გუშინ, კიბეზე რომ ამოვდიოდი მზიურიდან, მე და ჩემი თანამშრომელი ზუკა ჩუმად, მდუმარედ ვყლაპავდით სიბრაზის ცრემლებს და არ გვჯეროდა, რომ ის, რაც მოვისმინეთ, იმ საზოგადოებაში მოხდა, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ და ჩვენი ბავშვები იზრდებიან. – წერს ჯიბლაძე.

# ტაივანზე დე-ფაქტოდ ამერიკის საელჩო გაიხსნა




ტაივანზე გაიხსნა გრანდიოზული შენობა, სადაც ფაქტიურად ამერიკის საელჩო განთავსდება. ოფიციალურად მას საელჩო არ ჰქვია, რადგანაც საერთაშორისო სამართალი ტაივანს დამოუკიდებელ ქვეყნად არ აღიარებს. დე-ფაქტო კი ტაივანი დამოუკიდებელია, მას ჰყავს ძლიერი არმია, სპეცსამსახურები, გააჩნია კარგად განვითარებული ეკონომიკა.

შენობა, რომელშიც ფაქტიურად აშშ-ის საელჩო იქნება, მართლაც გრანდიოზულია. მისი აშენება 256 მილიონი დოლარი დაჯდა. მისი გახსნა საზეიმო ვითარებაში მოხდა. ცერემონიას თავად ტაივანის პრეზიდენტი ცაი ინვენი დაესწრო.

# ნორვეგიის მთავრობამ აშშ-ს სამხედრო დახმარება სთხოვა



ნორვეგიის ხელისუფლებამ ვაშინგტონს ოფიციალურად მიმართა და ქვეყანაში საზღვაო ქვეითების დამატებითი ნაწილების გადასროლა სთხოვა. მათ რუსეთის საზღვართან განალაგებენ. ნორვეგიელები შიშობენ, რომ რუსეთის შემოჭრის საფრთხე გაიზარდა.

ყირიმის ანექსიის შემდეგ ნორვეგიაში 370 ამერიკული საზღვაო ქვეითი განათავსეს. ახლა მათი რაოდენობა 700-მდე გაიზრდება.

# გერმანია: პრორუსი დეპუტატი დანაშაულშია მხილებული



გერმანის სასამართლომ პრორუსული ორიენტაციის დეპუტატი ანდერას მაურერი არჩევნების ფალსიფიკაციაში დამნაშავედ ცნო. მაურერს და მის ოთხ თანაშემწეს შვიდი თვიდან ერთ წლამდე პატიმრობა შეეფარდათ.

ანდრეას მაურერი მემარცხენეა. ის ანგელა მერკელს ოპოზიციაში უდგას. მაურერი იმ ძალებს განეკუთვნება, რომლებიც რუსეთის მიმართ სანქციების მოხსნასა და ყირიმის რუსეთის ნაწილად აღიარებას მოითხოვენ.

# თურქეთში ახალი გაზსადენი გახსნეს




თურქეთში ახალი ტრანსანტალიური გაზსადენი გახსნეს. ამით აზერბაიჯანული გაზი რუსეთის გვერდის ავლით ევროპას მიეწოდება. ამ პროექტს გაზის სამხრეთი დერეფანი ჰქვია.

გაზსადენი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. ცერემონიას პრეზიდენტი ერდოღანიც დაესწრო. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა უკრაინის პრეზიდენტ პოროშენკოს ხსენებულ პროექტთან მიერთება შესთავაზა. პოროშენკო დათანხმდა.

მალე გაიმართება სამიტი უკრაინა-აზერბაიჯანი-თურქეთი, სადაც ამ სამი ქვეყნის თანამშრომლობას განიხილავენ.

# თალიბანს ამერიკასთან პირდაპირი დიალოგი სურს



მოძრაობა „თალიბანის“ ლიდერმა აჰუნდადამ ამერიკის მთავრობას ოფიციალურად მიმართა. ის მიიჩნევს, რომ დადგა დრო, რომ ავღანეთის ომი შეწყდეს.

– ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ავღანეთში საომარი მოქმედებები არ წყდება! ჩვენი ქვეყანა სისხლისაგან დაიცალა, – ამბობს „თალიბანის“ ლიდერი.

აჰუნდადა მიიჩნევს, რომ დადგა დრო, რომ მოძრაობა „თალიბანსა“ და ამერიკის ხელისუფლებას შორის პირდაპირი მოლაპარაკებები დაიწყოს. საომარი მოქმედებებიც ამის შემდეგ შეჩერდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# თეთრმა ზვიგენმა სერფერს საჩუქრად კბილი დაუტოვა



ავსტრალიაში დიდი თეთრი ზვიგენი თავს დაესხა სერფერს, მაგრამ ვერაფერი დააკლო და გაეცალა, ხოლო მის საცურაო დაფაზე საკუთარი კბილი დატოვა.

მამაკაცი კაიტსერფინგით იყო დაკავებული ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ ბალინის ერთ-ერთ პლაჟზე, როდესაც მტაცებელი თევზი შეეცადა მისთვის ეკბინა. ცურვით გატაცებულმა ავსტრალიელმა ძლივს შენიშნა თავდასხმა და ზვიგენი ზღვის კუდ მიიჩნია. როდესაც ის ნაპირზე ამოვიდა მხოლოდ მაშინ შენიშნა, რომ მტაცებელმა თევზმა მის სერფერს ნაწილი მოაკვნიტა და შიგნით ერთი კბილი ჩატოვა.

პოლიციამ სერფერი მოძებნა და კბილი ექსპერტებს გადასცა, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ის დიდ თეთრ ზვიგენს ეკუთვნოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# კორეელმა უმი კალმარი შეჭამა და „განაყოფიერდა“



სამხრეთ კორეელმა ქალბატონმა უმი კალმარი შეჭამა და მისი სპერმატოზოიდებისგან „განაყოფიერებული“ აღმოჩნდა.

63 წლის ქალბატონმა ექიმს პირში წვის შეგრძნებების გამო მიმართა. მან ქალის ენასა და ღრძილებზე 12 პატარა, თეთრი, ფუსფორმატული სხეული შენიშნა. ისინი კალმარების სპერმატოფორები აღმოჩნდნენ, რომლებიც სპერმატოზოიდებს შეიცავენ. მოგვიანებით გაირკვა, რომ ისინი წყნარი ოკეანის კალმარებს განეკუთვნებიან.

– როგორც კი ნაჭერი პირში მოხვდა, მას ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს მას უამრავი „ხოჭო“ კბენდა. მან მწვავე ტკივილი განიცადა და საკვები გადმოაფურთხა. ამის მიუხედავად იმის შეგრძნებამ, რომ თითქოსდა მისი პირის ღრუში რაღაც ფუთფუთებდა, არ გაუარა, – ნათქვამია ექიმის მიერ ჩატარებული კვლევის დასკვნაში.

## სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166.**

**მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

### სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● სილამაზის სალონს ესაჭიროება გამოცდილი ქალის სტილისტი, მანიკური/პედიკურის სპეციალისტი და კოსმეტოლოგი. მის. ბორჯომის ქ. 6 (დეზერტირების ბაზართან). ტელ: 597050903; 558153660.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალი ნანა პაიჭაძე საგვარეულო მალამოთი ეფექტურად მკურნალობს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მუხლსახსრების ართროზს, დისკოზს, ნერვის ანთებას, ტერფისა და ქუსლების ტკივილს, ურთულეს დაავადებას ჰაიმორიტს. მის პაციენტთა შორის იყვნენ ცნობილი ადამიანები – აკადემიკოსი ანზორ შავგულიძე, მსახიობი ჯემალ ღაღანიძე, ტელეწამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილი და მრავალი სხვა. მის: თევდორე მღვდლის ქუჩა №48. ტელ: 593-00-08-26; 599-54-64-81.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულსისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

# უმცროსი ბორჯღალოსნები ელიტაში დარჩნენ



უმცროსმა ბორჯღალოსნებმა იაპონიას ბოლო 10 წუთში 2 ლელო გაუტანეს, გელა აფრასიძემ ერთი გარდასახა და 24:22 გამარჯვებით, საქართველომ საგაისოდ ელიტურ 12-ში ადგილი შეინარჩუნა.

იაპონიამ ჩვენთან გადამწყვეტი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამართა და თითქმის ყველა შეცდომით ისარგებლა, მაგრამ უმცროსმა ბორჯღალოსნებმა კონცენტრაცია არ დაკარგეს, კაცნაკლულებმა ორჯერ ლელო გაიტანეს და 24:22 გამარჯვებით გაიხარეს.

მე-9 ადგილისთვის მატჩის ნახევარფინალში იაპონიამ გმირულად იბრძოლა და უმეტესი დრო ანგარიშში ლიდერობდა. აზიელებმა ჩვენს დერეფანში დაშვებული შეცდომით ისარგებლა და მე-8 წუთზე ლელო-გარდასახვით დაწინაურდა. პასუხმა არ დააგვიანა. მატჩის განახლებისთანავე ბურთი მოვიპოვეთ, ლუკა ჯაფარიძემ ორჯერ შეძლო უპირატესობის მოპოვება და საპასუხო ლელო გაიტანა, ხოლო გელა აფრასიძემ გარდასახა და ანგარიში გაათანაბრა – 7:7.

პირველი ტაიმის მეორე ნახევარში დიდი დრო დაცვაში გავატარეთ და იაპონიამ ჯერ ჯარიმა გაიტანა, მერე სინბინით გურამ გოგიჩაშვილი დავკარგეთ და ლელო მივიღეთ – 7:17.

ტაიმის დამთავრებამდე ცოტა დრო იყო, ამასთან, კაცნაკლულნი ვიყავით. კიდევ ერთი ლელოს გაშვება დამღუპველი იქნებოდა, მაგრამ უმცროსმა ბორჯღალოსნებმა საპასუხო ლელოს გატანა მოახერხეს. კაცნაკლულ შერკინებაში ბურთის მოგების შემდეგ აფრასიძემ შეუტია, დროული პაუზის შემდეგ დემე თაფლაძეს უპასა და ის ცრუმოძრაობით ბოლო დამცველს დაუსხლტა, გარდასახვა არაზუსტი იყო – 12:17.

მეორე ტაიმი იაპონელთა კონტრშეტევით და ლელოთი დასრულდა, რასაც არაზუსტი გარდასახვა მოჰყვა. სხვაობის შემცირება აფრასიძეს შეეძლო, მაგრამ მისი ჯარიმა ძელმა აისხლიტა.

საათის თავზე რეფერიმ უკვე სანდრო მამამთავრიშვილი გაგვისინბინა და თითქოს იმედიც გადაიწურა, მაგრამ საქართველომ შეძლო სადავეების ხელში აღება, 72-ე წუთზე კარგ მოლს რამდენიმე დარტყმა მოყვა და თაფლაძემ თავისი მეორე ლელო გაიტანა, ხოლო აფრასიძემ გარდასახა – 19:22.

მატჩის გადასარჩენად ჯარიმაც საკმარისი იყო და კმაყოფილიც დავრჩებოდით, თუ მთელი შეხვედრის მანძილზე ჩამორჩენილები საქმეს დამატებით დრომდე მივიყვანდით, მაგრამ ასე არ ფიქრობდა თედო აბჟანდაძე, რომელმაც 78-ე წუთზე მეტოქეს კარის წინ გაუჭრა ხაზი, იერიში ლუკა გელაშვილმა გააგრძელა, ბოლოს უკვე აფრასიძემ პასის იმიტაცია აჩვენა, მეტოქე გაიტყუა, თავად შეუტია და გამარჯვების ლელო გაიტანა. მართალია გარდასახვა არაზუსტი იყო, მაგრამ მალე საფინალო სასტვენი გაისმა და უმცროსი ბორჯღალოსნები 24:22 მოგებით, 17 ივნისს მე-9 ადგილისთვის ბრძოლაში შოტლანდიაზე გავიდნენ.

# მუნდიალამდე ერთი დღით ადრე: ლოპეტეგი წავიდა, იერო მოვიდა



ასეთი რამაც ხდება – მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი დღით ადრე ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ გუნდის მთავარი მწვრთნელი ხულენ ლოპეტეგი დაკავებული პოსტიდან გაათავისუფლა. მისი შემცვლელი კი სასწრაფოდ მოძებნა და „ფურია როხას" ახალი მწვრთნელი ფერნანდო იეროა.

ლოპეტეგის გაშვება ჟურნალისტებს მუნდიალის მასპინძელ ქალაქში, კრასნოდარში გამართულ პრესკონფერენციაზე ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლუის რუბიალესმა ამცნო.

როგორც ირკვევა, რუბიალესი იმ ფაქტმა გააბრაზა, როდესაც ლოპეტეგი მადრიდის რეალის მწვრთნელად მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე გამოცხადდა და ეს გადაწყვეტილებაც ამიტომ მიიღო.

ლუის რუბიალესი:

– ვალდებულები ვიყავით, მთავარი მწვრთნელი გაგვეთავისუფლებინა. მას ყველაფერ კარგს ვუსურვებთ მომავალში, მაგრამ ესპანეთის ნაკრების ყველა თანამშრომელმა ზუსტად და მკაფიოდ უნდა იცოდეს, რომ არსებობს მოქცევის მიღებული ზოგადი ფორმები. პრობლემა ისაა, რომ რეალთან ყველა მოლაპარაკება ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის გვერდის ავლით ხდებოდა, ამიტომ ამ ფაქტს უყურადღებოდ ვერ დავტოვებდით. ლოპეტეგი პროფესიონალი სპეციალისტია, მაგრამ საქმეები წესების მიხედვით უნდა აწარმოო.

რუბიალესმა ისიც განაცხადა, რომ ფეხბურთელებს უკვე ესაუბრა და ისინი მზად არიან, ახალ მწვრთნელთან ერთად წარმატებისთვის ყველაფერი გაიღონ.

იერო აქამდე ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციაში სპორტული დირექტორის თანამდებობას იკავებდა, გუშინდელი დღიდან კი ახალ საქმეს შეუდგა და პირველი ვარჯიშიც ჩაატარა.

შეგახსენებთ, რომ ესპანეთის ნაკრებს ხვალ პირველი მატჩი აქვთ პორტუგალიასთან.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

# ჯ ჯგუფი: ინგლისი მუდმივად ფავორიტია

**18 ივნისი, 19:00** ბელგია-პანამა; 22:00 ტუნისი-ინგლისი;

**23 ივნისი, 16:00** ბელგია-ტუნისი;

**24 ივნისი, 16:00** ინგლისი-პანამა;

**28 ივნისი, 22:00** პანამა-ტუნისი; ინგლისი-ბელგია;

**ბელგია**

ბელგიის ფეხბურთის ასოციაცია 1895 წელს დაარსდა, ფიფას წევრი 1904 წელს გახდა, ფიფას რეიტინგში მე-3 ადგილზეა. პირველი მატჩი საფრანგეთთან გამართა და 3:3 დასრულდა.

ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი იან ვერტონგენს (102) აქვს ჩატარებული, ხოლო ბომბარდირი რომელუ ლუკაკუა (36). ორივე მათგანი რუსეთის მუნდიალზეც მიიღებს მონაწილეობას.

წითელი ეშმაკებისთვის მსოფლიო ჩემპიონატებზე ყველაზე დიდი მიღწევა მე-4 ადგილია, რომელიც 1986 წელს დაიკავა, ხოლო 1980 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალი ითამაშა.

გზა რუსეთამდე ერთი ამოსუნთქვით გაიარა. ჯგუფში, სადაც მეტოქეებად საბერძნეთი, ბოსნია, ესტონეთი, კვიპროსი და გიბრალტარი ჰყავდა, 9 მატჩი მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა და მეორეადგილოსან საბერძნეთს 11 ქულით გაასწრო.

ბელგია ევროპაში ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც ფეხბურთის თამაში დაიწყო.

ჩატარებული 20 მსოფლიო თასიდან წითელმა ეშმაკებმა 13-ში, ხოლო კონტინენტის 15 პირველობიდან 5-ში მონაწილეობა მიიღეს.

რობერტო მარტინესი ბელგიელთა თავკაცად 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დაინიშნა. 44 წლის სპეციალისტს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მარტინესი ბელგიის ნაკრებამდე პრემიერლიგის კლუბებში, სუონსისა და ევერტონში მუშაობდა.

ბელგიის ნაკრების შემადგენლობა ვარსკვლავურად მიიჩნევა, გამორჩეულ ლიდერად კი ედენ აზარი უნდა ჩავთვალოთ. ჩელსის შემტევი ნახევარმცველი ეროვნულ გუნდში 10 წელია თამაშობს და მისი კაპიტანიც არის.

ბელგიელებს მომავალ მუნდიალზე 8 საუკეთესო გუნდში გასვლას უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ შემადგენლობის გათვალისწინებით, მეტის მიღწევაც არ იქნება სენსაცია.

**შემადგენლობა**

**მეკარეები:** კუნ სტელსი (ვოლფსბურგი), ტიბო კურტუა (ჩელსი), სიმონ მინიოლე (ლივერპული);

**მცველები:** ტობი ალდერვეირელდი, იან ვერტონგენი (ორივე ტოტენჰემი), დედრიკ ბოიატა (სელტიკი), ვენსან კომპანი (სიტი), ლორან სიმანი (ლოს ანჯელე გელექსი), ტომას ვერმალენი (ბარსელონა), ტომას მენიე (პსჟ);

**ნახევარმცველები:** იანიკ-ფერეირა კარასკო (დალიან იფანი), ნასერ შადლი (ვესტ ბრომვიჩი), კევინ დე ბრუინი (სიტი), მუსა დემბელე (ტოტენჰემი), ედენ აზარი (ჩელსი), თორგან აზარი (გლადბახი), ადნან იანუზაი (სოსიედადი), იური ტილემანსი (მონაკო), აქსელ ვიცელი (ტიანცძინ ციუანძანი), მარუან ფელაინი (მანჩესტერი), ლეანდერ დენდოკერი (ანდერლეხტი);

**თავდამსხმელები:** მიჩი ბაჩუაი (ჩელსი), რომელუ ლუკაკუ (მანჩესტერი), დრის მერტენსი (ნაპოლი);

**ინგლისი**

ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია უძველესია – 1863 წელს დაარსდა, ფიფას წევრი 1905 წლიდანაა, რეიტინგში მე-13 ადგილზეა. პირველი მატჩი შოტლანდიასთან გამართა და გუნდებმა გოლების გატანა ვერ მოახერხეს.

ინგლისის ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი, მეკარე პეტერ შილტონის (125) აქვს ჩატარებული, ხოლო ბომბარდირი უეინ რუნი (53) გახლავს.

ფეხბურთის შემქმნელ-დამაარსებლები დიდხანს უკადრისობდნენ მსოფლიოს ჩემპიონატებზე თამაშს, არ არიან ჩვენი ტოლებიო, მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ სხვები მეტად გაიზარდნენ და მუნდიალებშიც ჩაერთვნენ. ფეხბურთის სამშობლოში თასი მხოლოდ ერთხელ, 1966 წელს გაემგზავრა და მაშინაც დიდი კამათის ფონზე. ეს არის ინგლისელთა ყველა მიღწევა ისტორიაში, თუ 1968 და 1996 წლებში ევროპის ჩემპიონატზე დაკავებულ მესამე ადგილებს არ ჩავთვლით.

ინგლისის ნაკრებმა მარტივად გაიარა გზა რუსეთამდე: ჯგუფში, სადაც მეტოქეებად სლოვაკეთი, შოტლანდია, სლოვენია, ლიეტუვა და მალტა ჰყავდა, 8 მოიგო, 2 ფრედ ითამაშა და 5 ქულით აჯობა მეორეადგილოსან სლოვაკეთს.

ინგლისის ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ყველაზე ასაკოვანი გუნდია. ის შოტლანდიასთან ერთად 1863 წელს დაარსდა.

მწვრთნელი გარეთ საუთგეიტია, სპეციალისტი, რომლის სამწვრთნელო საქმიანობაც 3 წლით მიდლსბროს თავკაცობას, 2009 წლიდან კი ინგლისის 21 წლამდე ნაკრებში მუშაობას მოიცავს. 47 წლის საუთგეიტი, ჯერ ახალგაზრდულ ნაკრებში კოორდინატორად, შემდეგ ასისტენტად, ხოლო 2016 წლის ნოემბრიდან ინგლისელთ ეროვნული გუნდის მწვრთნელად დაინიშნა.




ინგლისელებს ჰარი კეინი ლიდერობს, ტოტენჰემის თავდამსხმელი, რომელიც მის პოზიციაზე მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა და ეროვნული გუნდის კაპიტნის სამკლაურს რამდენიმე თვეა ირგებს.

ინგლისელები დიდი საერთაშორისო ტურნირებს მუდმივად მაღალი კლასის ფეხბურთელებისგან დაკომპლექტებული გუნდით ეგებებიან, თუმცა განსაკუთრებულ წარმატებას იშვიათად აღწევენ. ამჟამად, ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს, თუმცა, გამოცდილი ფეხბურთელებიც ეხმარებიან: გარი კეჰილი, ეშლი იანგი, დენი უელბეკი, ჯორდან ჰენდერსონი, ჯეიმი ვარდი.

ინგლისის ნაკრები პროგრესული მთავარი მწვრთნელისა და ახალგაზრდული ძალის მეშვეობით, ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევა.

**შემადგენლობა**

**მეკარეები:** ჯორდან პიკფორდი (ევერტონი), ჯეკ ბატლენდი (ბირმინგემი), ნიკ პოპი (ბირმინგემი);

**მცველები:** კაილ უოლკერი (სიტი), დენი როუზი (ტოტენჰემი), ერიკ დაიერი (ტოტენჰემი), ჯონ სტოუნსი (სიტი), ჰარი მაგუაერი (ლესტერი), ალექსანდერ არნოლდი (ლივერპული),კირიან ტრიპიერი (ტოტენჰემი), გარი კეჰილი (ჩელსი), ფილ ჯოუნსი (სიტი), ეშლი იანგი (მანჩესტერი);

**ნახევარმცველები:** ჯესი ლინგარდი (მანჩესტერი), ჯორდან ჰენდერსონი (ლივერპული), რაჰემ სტერლინგი (სიტი), ფაბიან დელფი (სიტი), დელე ალი (ტოტენჰემი), რუბენ ლოფტუს ჩიკი (ცრისტალ პალასი);

**თავდამსხმელები:** ჰარი კეინი (ტოტენჰემი), ჯეიმი ვარდი (სიტი), დენი ველბეკი (არსენალი), მარკუს რეშფორდი (მანჩესტერი);

**ტუნისი**

ტუნისის ფეხბურთის ფედერაცია 1957 წელს დაარსდა. ფიფას წევრი 1960 წლიდან გახდა და რეიტინგში 21-ე პოზიციაზეა. პირველი მატჩი 1957 წელს ალჟირთან გამართა და 1:2 წააგო.

ეროვნულ გუნდში ყველაზე მეტი მატჩი სადოკ სასი (116) უთამაშია, ხოლო ბომბარდირი ისსემ ჯემაა (36).

მიღწევებითაც ვერ დაიკვეხნის. მსოფლიო ჩემპიონატებზე ყოველთვის სუსტად გამოდიოდა, ეგ კი არადა, აფრიკის თასიც ერთხელ აქვს მოგებული და ისიც 2004 წელს.

გზა რუსეთამდე არ გასჭირვებია. ჯერ მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ვატრიტანიას ორივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით, 2:1 მოუგო, შემდეგ კი ჯგუფურ ეტაპზე, გვინეას, ლიბიასა და კონგოსთან ჯახში, 4 მოგებითა და 2 ფრით, პირველი ადგილი დაიკავა.

ტუნისის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის საგზური პირველად 1978 წელს მოიპოვა. თუმცა, ნაკრების წინსვლა 1998-2006 წლებს უკავშირდება, როდესაც ზედიზედ სამჯერ მოახერხეს ფინალურ ეტაპზე გასვლა. წელს მათი მეხუთე გასვლაა მუნდიალზე.

ტუნისელებს 55 წლის ნაბილ მალული ავარჯიშებს, რომელიც ფეხბურთელობის პერიოდში ბუნდესლიგაში თამაშობდა. ტუნისელ სპეციალისტს მშობლიურ ნაკრებში აქამდეც რამდენჯერმე უმუშავია. ბოლოს მან გუნდი 1 წლის წინ ჩაიბარა.

გუნდს გამოკვეთილი ვარსკვლავი არ ჰყავს. მის შემადგენლობაში ძირითადად აფრიკაში მოთამაშე ფეხბურთელები შედიან.

აქედან გამომდინარე, ჯგუფში აუტსაიდერად მიიჩნევა და მისი მაქსიმუმი პანამასთან მესამე ადგილისთვის ბრძოლა უნდა იყოს.

**შემადგენლობა**

**მეკარეები:** აიმენ მათლუტი (ალ-ბატინი), ფარუკ ბენ-მუსტაფა (ალ-შაბაბი), მუე ასენი (შატორუ);

**მცველები:** ჰამდი ნაგეზი (ზამალეკი), დილან ბრონი (გენტი), რამი ბედუი (სეტიფი), იოან ბენალუანი (ლესტერი), სიამ ბენ-იუსუფი (კასიმფაშა), იასინ მერია (სფაქსენი) უსამა ჰადადი (დიჟონი), ალი მაალული (ალ-აჰლი ჯიდა);

**ნახევარმცველები:** ელი სკირი (მონპელიე), მოჰამედ ბენ-ამორი (ალ-აჰლი ჯიდა), გილან შალალი (ესპერანსი), ფერჯანი სასი (ან-ნასრი), აჰმედ ჰალილი (აფრიკენი), საიფ-ედინ ჰაუი (ტრუა);

**თავდამსხმელები:** ფაჰრედინ ბენ-იუსუფი (ალ-იტიფაკი), ბაჰბი ჰაზრი (რენი), ანის ბადრი (ესპერანსი), ბასემ სრარფი (ნიცა), ნაის სლიტი (დიჟონი), საბერ ჰელიფა (აფრიკენი);

**პანამა**

პანამის ფეხბურთის ფედერაცია 1937 წელს დაარსდა, მომდევნო წელს კი ფიფას წევრი გახდა, რომლის რეიტინგში 55-ე ადგილს იკავებს. პირველი მატჩი 1938 წელს ვენესუელასთან გამართა და 3:1 მოიგო.

ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი გაბრიელ გომესს (143) აქვს ჩატარებული, ბომბარდირობას კი ლუის ტეხადა, ბლას პერესი (43-43) იყოფენ.

ტიტულებით პანამის ნაკრები ყველაზე მოკრძალებულია გუნდია მთელს მუნდიალზე. მსოფლიო ჩემპიონატზე დებიუტანტია და კონკაკაფის ზონაშიც ფინალისტი ორჯერ (2005, 2013) იყო.

გზა რუსეთამდე გრძელი იყო: ჯერ იამაიკასთან, ჰაიტისთან და კოსტა რიკასთან ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და მთავარ ჯგუფში გადაერთო, სადაც იმავე კოსტარიკელებთან, მექსიკასთან, აშშ-თან, ჰონდურასთან და ტრინიდადის ნაკრებებთან ჭიდილში მესამე ადგილი ბოლო ტურში დაიკავა და მუნდიალზე „გაძვრა".

გუნდის შემადგენლობა ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში მოთამაშე ფეხბურთელებითაა

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# გოგა ბითაძემ დრაფტზე კანდიდატურა მოხსნა




საქართველოს ნაკრების ცენტრი გოგა ბითაძე 2018 წლის დრაფტში მონაწილეობას არ მიიღებს. აგენტთან შეთანხმებით 211 სმ სიმაღლის ქართველმა წინახაზელმა კანდიდატურა მოხსნა.

შეგახსენებთ, ისევე, როგორც სხვა ნიჭიერმა ახალგაზრდებმა, გოგამაც რამდენიმე თვის წინ დააყენა კანდიდატურა დრაფტზე. ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის გუნდებს საკმარისი დრო ჰქონდათ, რომ დაკვირვებოდნენ ქართველის გარჯას სერბეთის ჩემპიონატზე და ადრიატიკის ლიგაზე.

იგი წინასადრაფტო ვარჯიშებზეც იყო მიწვეული, მაგრამ საბოლოოდ გოგამ და მისმა აგენტმა წლევანდელი დრაფტიდან კანდიდატურის მოხსნა გადაწყვიტეს. იგი კიდევ უფრო მომზადებული შეხვდება 2019 წლის დრაფტს.

# ჯ ჯგუფი: ინგლისი მუდმივად ფავორიტია

დასაწყისი მე-9 გვერდზე

დაკომპლექტებული. ძირითადი გუნდიდან ევროპაში მხოლოდ ოთხი ფეხბურთელია.

კოლუმბიელი მწვრთნელი, ჰერნან გომესი 62 წლის სპეციალისტია, რომლის კარიერაც მეტწილად ეროვნულ გუნდებში მუშაობას გულისხმობს. გომესი სხვადასხვა დროს ეკვადორის, გვატემალას და კოლუმბიის ნაკრებებს თავკაცობდა.

პანამის ნაკრები ვერც ვარსკვლავური შემადგენლობით იწონებს თავს და ლიდერის გამოყოფაც რთული იქნება.

პანამის ნაკრები ტუნისთან ერთად ჯგუფის აუტსაიდერად მიიჩნევა და მეტის ილუზია არც უნდა ჰქონდეთ.

**შემადგენლობა**

**მეკარეები:** ხოსე კალდერონი (ჩორილიო), ხაიმე პენედო (დინამო ბ), ალექს როდრიგესი (სან-ფრანსისკო);

**მცველები:** ფილიპე ბალოი (მუნისიპალი), ჰაროლდ კამინგსი (სან-ხოსე), ერიკ დევისი (დუნაისა), ფიდელ ესკობარი, მიხაელ მურილო (ორივე ნიუ-იორს რედ ბული), ადოლფო მაჩადო (ჰიუსტონი), ლუის ოვალიე (ოლიმპია), რომან ტორესი (სიეტლი);

**ნახევარმცველები:** ხოსე ლუის როდრიგესი (გენტი), ედგარ ბარსენასი (ტაპაჩულა), არმანდო კუპერი (უნივერსიდად დე ჩილე), ანიბალ გოდოი (სან-ხოსე), გაბრიელ გომესი (ბუკარამანგა), ვალენტინ პიმენტელი (პლასა ამადორი), ალბერტო კინტერო (უნივერსიტარიო);

**თავდამსხმელები:** აბდიელ აროიო (ალახუელენსე), ისმაელ დიასი (დეპორტივო), ბლას პერესი (მუნისიპალი), ლუის ტეხადა (სპორტ ბოიზი), გაბრიელ ტორესი (უაჩიპატო);

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# მბაპეს ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა




საფრანგეთის ნაკრების ფორვარდმა კილიან მბაპემ ერთ-ერთ ვარჯიშზე ადილ რამისთან შეჯახების შედეგად ტრავმა მიიღო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ტრავმა სერიოზული არ არის და მბაპე მსოფლიო ჩემპიონატის არც ერთ თამაშს არ გამოტოვებს.

მბაპემ ერთ-ერთ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ მედია რამის კრიტიკას უნდა შეეშვას, რადგან მას ცუდი არაფერი გაუკეთებია:

– თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და ეს მხოლოდ მცირე ტრავმაა, რომელიც ხელს არ შემიშლის. რამი ჩემი მეგობარია, ამიტომ ყველას ვთხოვ, რომ მის კრიტიკას თავი დაანებონ.

# ფილიპო ინძაგი ბოლონიას მწვრთნელი გახდა



ლეგენდარული იტალიელი ფეხბურთელი ფილიპო ინძაგი, რომელიც ორი წლის მანძილზე ვენეციას მწვრთნელი იყო, სერია ა-ში ბრუნდება. მომავალი სეზონიდან ინძაგი ბოლონიას ჩაიბარებს და ეს უკვე ბოლომდე გადაწყვეტილი ამბავია.

ინძაგი ერთი პერიოდი მილანის თავკაცი იყო, თუმცა ამ გუნდში წარმატებას ვერ მიაღწია და საბოლოოდ ის თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ნიანგმა პატრონს ძაღლი შეუჭამა



ავსტრალიაში ნიანგმა შეჭამა ძაღლი, რომელიც მთელი ათი წლის განმავლობაში მას აწვალებდა.

ავსტრალიელი კაი ჰენსენი, რომელიც მდინარე ადელაიდაზე წარმოქმნილ მომცრო კუნძულზე მოშინაურებულ ნიანგებთან და ტერიერ, სახელად პიპასთან ერთად ცხოვრობდა, სტუმრებს თავის საყვარელ ტრიუკს ძაღლით უჩვენებდა: მან რეპტილიას, სახელად კესის, ხორცი გადაუგდო, ხოლო პიპა გამოვარდა, რათა რეპტილია მდინარისკენ გაედევნა, მაგრამ ამჯერად ათი წლის განმავლობაში პირველად ძაღლმა პირდაპირ ნიანგის დაფჩენილ პირთან მიირბინა და მტაცებელმაც ის დაუყოვნებლივ დაგლიჯა და გადასანსლა ხალხის ყვირილის ფონზე.

დამწუხრებულმა პატრონმა აღნიშნა, რომ მართალია, მას თავისი ძაღლი შეეცოდა, მაგრამ ის კესის ვერაფერში დაადანაშაულებს.

– მან გააკეთა ის, რასაც ნიანგები აკეთებენ. ადრე თუ გვიან, ეს უნდა მომხდარიყო, – განაცხადა ჰენსენმა.

# კურიერი კარის წინ ხალიჩაზე გაკეთებულ წარწერას დაემორჩილა და დაცინვის ობიექტად იქცა




აშშ-ში კურიერმა კარის წინ დაფენილ ხალიჩაზე გაკეთებული სახუმარო წარწერა პირდაპირ გაიგო და ამით კლიენტები, შემდეგ კი სოციალური ქსელის მომხმარებლებიც გაამხიარულა. სათვალთვალო კამერის ჩანაწერი სახლის ბინადარმა ვანესა ო,შიმ ფეისბუქში გამოაქვეყნა.

ტეხასელმა საკუთარი სახლის შესასვლელთან დააფინა ხალიჩა წარწერით: „გთხოვთ, გზავნილი ჩემი მეუღლისგან გადამალეთ“. კურიერმა ამაზონიდან ეს წაიკითხა და ინსტრუქციის მიხედვით იმოქმედა, გზავნილი მოფარებულ ადგილზე დადო.

როდესაც ო,შიმ მეუღლესთან ერთად ნახა სათვალთვალო კამერის მიერ გადაღებული ვიდეო, კურიერის ქცევამ საკმაოდ გაამხიარულა. ქალმა ვიდეო სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე განათავსა და ის რამდენიმე დღეში 13 მილიონზე მეტჯერ ნახეს.

# ამერიკელმა ორთავიანი გველი შეიფარა



ბიოლოგიით გატაცებულმა ამერიკელმა ქალბატონმა მეგობრის სახლის უკანა ეზოში ორთავიანი გველი იპოვა და სახლში წაიყვანა.

ტანი იანუშმა უჩვეულო 10 თვის დაახლოვებით 30 სანტიმეტრის სიგრძის ქვეწარმავალი თავისი მეგობრის სახლის უკან პატარა მდელოზე აღმოაჩინა. ორივე ნატურალისტების საზოგადოების წევრები არიან. ქალმა რეპტილიის ერთ თავს ფილე დაარქვა, ხოლო მეორეს გუმბო. მისი თქმით, ისინი ხშირად ჩხუბობენ იმის გამო, რომ სხვადასხვა მხარეს სურთ, გასრიალდნენ.

იანუში თვლის, რომ ველურ ბუნებაში გველი უეჭველად დაიღუპებოდა, ვინაიდან ძალიან ნელა გადაადგილდებოდა.

ფილეს და გუმბოს გარდა, ქალს ასევე ჰყავს ქუჩიდან აყვანილი სხვა ცხოველები: შვიდი გველი, ბაყაყი, ორი ტარაკანა, მრავალფეხა, ტარანტული, წვერებიანი აგამა, კალიები, ზღარბი, რამდენიმე ჩიტი, ძაღლები და კატები. მას ცხოველებზე ზრუნვაში მისი სამი შვილი: 11 წლის კეტი, 14 წლის ჯოში და 17 წლის ნიკი ეხმარებიან.

# მრავალშვილიანმა მამამ ერთი ბავშვი თავიდან მოიშორა



ინდოელმა ბავშვი იმის გამო მიატოვა, რომ მეგობრები მას მრავალშვილიანობის გამო დასცინოდნენ.

ინციდენტი ინდოეთის კერალას შტატის ქალაქ კოჩინში მოხდა. ერთ-ერთი ეკლესიის ღვთისმსახურებმა ახლად დაბადებული ბავშვი დილით ადრე აღმოაჩინეს. სათვალთვალო კამერებმა აჩვენა, რომ მამაკაცმა ბავშვს მიტოვებამდე თავზე აკოცა და წასვლის დროს გამუდმებით უკან იყურებოდა.

პოლიციამ ბავშვის მშობლები იპოვა და დააკავა. ისინი აღმოჩნდნენ 32 წლის ბიტო დევისი და მისი 28 წლის მეუღლე პრავიტხა. დაკითხვაზე მათ აღიარეს, რომ ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგეს, რომ მეგობრები და ნათესავები მათ დასცინოდნენ იმის გამო, რომ მათ მეტისმეტად ხშირად უჩნდებოდათ ბავშვები. მათი დაცინვა კიდევ უფრო აუტანელი მას შემდეგ გახდა, როდესაც აღმოჩნდა, რომ ქალი მეოთხე ბავშვზე იყო ფეხმძიმედ.

– ბიტოს მეგობრების გამუდმებული დაცინვის საგანს წარმოადგენდა მისი მეუღლის მუცელი და სულ ეკითხებოდნენ, ფეხმძიმედ ხომ არ იყო. როდესაც ქალმა იმშობიარა, ისინი კოჩინში ჩავიდნენ, რათა ბავშვი ეკლესიაში დაეტოვებინათ, – განაცხადა პოლიციელმა.

ცოლ-ქმარს ბავშვზე უარის თქმისა და სასტიკი მოპყრობის ბრალდება წაუყენეს.

# ტკიპას ნაკბენმა ბრიტანელს სახის პარალიჩი დამართა



ბრიტანელ ქალს ტკიპას ნაკბენმა სახის ნერვის პარალიჩი დამართა და ორი წლის განმავლობაში ლაპარაკის უნარი დაუკარგა.

რეიჩელ ფოულკს-დევისს ჩრდილოეთ უელსის დენბიშირის საგრაფოდან ტკიპამ მისივე სახლის ბაღში 2015 წლის ივნისში უკბინა. რამდენიმე დღის შემდეგ, 43 წლის ქალს სახე ნელ-ნელა ქვევით ჩამოეწია და ტუჩებს ველარ გრძნობდა.

თავდაპირველად ექიმებმა მას ბელას პარალიჩი დაუდგინეს, თუმცა შვიდთვიანმა მკურნალობის კურსმა შედეგი არ გამოიღო და დროთა განმავლობაში მან მეტყველების უნარიც დაკარგა. ასევე ის ვერ ხუჭავდა თვალებს, ხოლო წლის ბოლოსთვის თვალების დახამხამებასაც გადაეჩვია.

ფოულკს-დევისმა ფარ-ხმალი არ დაყარა და ძვირადღირებული გამოკვლევა ჩაიტარა, რომელმაც გამოავლინა, რომ ის ლაიმას დაავადებისგან იტანჯებოდა, რომლის გადამტანები ტკიპები არიან და რომლის დროსაც ადეკვატური მკურნალობის გარეშე, შესაძლოა, ადამიანი ინვალიდობამდე და დაღუპვამდე მიიყვანოს.

ექიმები ქალის დიაგნოზს არ დაეთანხმნენ და განაცხადეს, რომ აღნიშნული დაავადება უელსის ტერიტორიაზე არ არის გავრცელებული. მათ მკურნალობის რეკომენდაცია მისცეს, თუმცა მის ოფიციალურ დიაგნოზად აღიარებასა და დაზღვევის გაფორმებაზე უარი უთხრეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 14 ივნისისთვის



**ვერძი** – შორს გამგზავრება რეკომენდებული არ არის. უმჯობესია, ეს დღე სახლში გაატაროთ. **კურო** – ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. **ტყუპები** – სიახლეების დროა. კარგი იქნება, თუ იმიჯს შეიცვლით. **კირჩხიბი** – ცოდნის არეალის გაფართოების გარეშე წარმატების მიღწევა გაგიჭირდებათ. საღამოს მშვიდ გარემოში გაატარებთ. **ლომი** – საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება არ გეპატიებათ. პასუხისმგებლობას ნუ გაექცევით. **ქალწული** – ნუ იქნებით ინერტული. საკუთარი პოზიცია დაიცავით. **სასწორი** – სიჯიუტე, მეტისმეტი პრინციპულობა დღეს არ გამოგადგებათ. იყავით ლოიალური. **ღრიანკალი** – საქმიანი ქაღალდები დროულად მოაწესრიგეთ. კომერციული ოპერაციებისათვის არახელსაყრელი დღეა. **მშვილდოსანი** – ვარსკვლავები თქვენ მიმართ კეთილგანწყობას ამჟღავნებენ. მიზანს აღწევთ. **თხის რქა** – დღეს მხოლოდ მსუბუქი საქმე აკეთეთ. გადაღლა თქვენს ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება. **მერწყული** – სიმშვიდესა და სულიერ კომფორტს ვერავინ დაგირღვევთ. საკუთარ და სხვების ინტერესებს ნუ უგულებელყოფთ. **თევზები** – იყავით თავაზიანი და კეთილმოსურნე. გარშემომყოფების გულს მხოლოდ ასე მოიგებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 2. რაიონული ცენტრი იმერეთში; 3. ბგერის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 4. მონასტერი თეთრიწყაროს რაიონში; 8. უძველესი თეატრალიზებული თამაში-წარმოდგენა საქართველოში; 9. წყალმცენარეების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 11. კუთხე საქართველოში; 12. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 14. ქართული გაზეთი; 16. ბეჭედში, ბროშში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი; 17. სიახლის შემომტანი რაიმე საქმეში; 19. ფრანგი მოდელიორი; 21. ტროპიკული მცენარე, რომელიც მხოლოდ ერთხელ ყვავის.

**თარაზულად:** 5. მიწის სათხრელი მანქანა; 6. დედათა მონასტრის წინამძღვარი; 7. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 10. სახელმწიფო აზიაში; 13. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 15. მიწაში ბინადარი ცხოველი; 18. პოემა „სტუმარ-მასპინძელი“-ს პერსონაჟი; 20. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 22. მეცნიერება ხეხილის ჯიშების შესახებ; 23. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 24. ვერტმფრენის ძველებური სახელწოდება.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა



# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. კვირიკე; 2. შატილი; 3. ბაბანეური; 4. საღამო; 5. ბილფელდი; 7. სოდა; 11. ტაპიორი; 13. პრატერი; 15. პირსი; 16. კომლი; 18. ივერი; 19. „ლაციო“.

**თარაზულად**: 6. ვოლსკი; 8. „კანკანი“; 9. ნაღველი; 10. ინფანტი; 12. კირხე; 14. ჯოყოლა; 17. „რქაწითელი“; 20. პროტონი; 21. ესკიზი; 22. „რუზინე“; 23. მიკიტანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. რუტერი; 2. იმერეთი; 3. „კადილაკი“; 4. შიფონერი; 8. საქსაფონი; 9. ტრიპიტაკა; 11. ფსირცხა; 12. ყავა; 14. ალოე; 16. ზაქათალა; 17. ტაკელაჟი; 19. ფოლადი; 21. რომბი.

**თარაზულად**: 5. ლანგუსტი; 6. გერმანია; 7. ფარვატერი; 10. „სამაია“; 13. პრიორი; 15. ღვარძლი; 18. კათოდი; 20. მაკაკა; 22. კალმასობა; 23. ალავერდი; 24. აზორდაჟი;

# ნინო ანანიაშვილი „რომეო და ჯულიეტაში“ მთავარ პარტიას იცეკვებს




პრიმა ბალერინა ნინო ანანიაშვილი სპექტაკლში „რომეო და ჯულიეტა“ მთავარ პარტიას იცეკვებს.

ბალერინა მაყურებლის წინაშე მეორე საერთაშორისო საბალეტო ფესტივალის ფარგლებში წარდგება.

ნინო ანანიაშვილს პარტნიორობას მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავი მარსელო გომესი გაუწევს, რომელიც თბილისში ნინო ანანიაშვილის სპეციალური მოწვევით ჩამოვა.

თბილისის ბალეტის მეორე საერთაშორისო ფესტივალი 23 ივნისს დაიწყება და მასში მონაწილეობას მიიღებენ ნიდერლანდების ცეკვის თეატრი 2, თანამედროვე ცეკვის დასი იტალიიდან, წარმოდგენილი იქნება მედი ვალერსკის ახალი ბალეტი, რომლის მსოფლიოს პრემიერაც თბილისში შედგება, ასევე „რომეო და ჯულიეტა: და „მძინარე მზეთუნახავი“.

თბილისის ბალეტის რიგით მეორე ფესტივალის პროგრამაში ჩართულები არიან ამანდინ ალბისონის, პარიზის ნაციონალური ოპერის ჟერემი ლუ კერის და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასები.

# ლევან თუთბერიძე ქალაქის ხელმძღვანელობას აკრიტიკებს



რეჟისორი ლევან თუთბერიძე ქალაქის ხელმძღვანელობას აკრიტიკებს და შუაღამისას ფეიერვერკების ფრქვევის აკრძალვას ითხოვს:

– პატრონი ჰყავს ამ ქალაქს? ყოველდღე, შუა ქალაქში, ვისაც მოუნდება და ფულს გადაიხდის, ფეირვერკებს აფრქვევს... ამხელა ხმაურით... რა სი....ბაა! ქაჯობა და გოიმობა... აფხაზეთი და ოსეთი დავიბრუნეთ თუ რა გვიხარია ასეთი... არც ერთი კანონი აღარ მუშაობს?

# ბათუმის მუსიკალურ ცენტრში გია ყანჩელს ელოდებიან



15 ივნისს ბათუმის მუსიკალურ ცენტრში კლასიკური მუსიკის კონცერტი გაიმართება, სადაც ცნობილი ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის და სერგეი რახმანინოვის ნაწარმოებები შესრულდება.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ესტონეთის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, გიორგი ცაგარელი, ნიკოლოზ რაჭველი და ალექსეი ბოტვინოვი.

# ნუგზარ ფსუტურის 70 წლის იუბილე უნივერსიტეტში აღინიშნა




ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის საკონცერტო დარბაზში მომღერლისა და კომპოზიტორის ნუგზარ ფსუტურის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებული ხსოვნის საღამო გაიმართა. ღონისძიებაზე მოეწყო წიგნის პრეზენტაცია „იცნოს სოფელმან... ნუგზარ ფსუტური“, ასევე მოეწყო ალბომის „ნუგზარ ფსუტური 70“ წარდგინება.

წიგნი „იცნოს სოფელმან... ნუგზარ ფსუტური“ ლიტერატურული საზოგადოება „ვერკვლისციხელისა“ და ნუგზარ ფსუტურის ოჯახის ერთობლივი ნამუშევარია. მასში შესულია ბიოგრაფია, ოჯახის წევრების, მეგობრების, მუსიკოსების და სხვათა წერილი-მოგონებები, სტატიები მის შესახებ, საკუთარი და მიძღვნილი ლექსები, ფოტომატიანე...

ეს „ვერკვლისციხელის“ მეორე ნამუშევარია, პირველი წიგნი ყველასათვის საყვარელ მიტროპოლიტ თადეოზს (იორამაშვილს) ეძღვნებოდა...

მუსიკალურ ალბომში „ნუგზარ ფსუტური 70“ კი 25 რჩეული სიმღერა შევიდა. ალბომი ორნაწილიანია და მასში საავტორო და სოლო სიმღერების დისკებია მოთავსებული.

# სამგლოვიარო განცხადებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თეორიული ეკონომიკის კათედრის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს მოწვეულ პროფესორ რუსუდან სირბილაძეს დედის

**ლონდა ლეჟავას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროფესორი ნოდარ ბახტაძე: „ხეობა ისტორიულ-არქეოლოგიურ ნაკრძალად უნდა გამოცხადდეს!“



ილიას უნივერსიტეტის პროფესორი ნოდარ ბახტაძე მდინარე ხრამის (ქციის) ისტორიული ძეგლებით უმდიდრესი, უნიკალური ხეობის საფრთხეზე საუბრობს:

– გასული საუკუნის 80-იან წლებში, წინ აღვუდექი კომუნისტური ხელისუფლების მიერ მდინარე ხრამის (ქციის) ისტორიული ძეგლებით უმდიდრესი, უნიკალური ხეობის დატბორვის პროექტის განხორციელებას, ჰესების კასკადის მშენებლობის მიზნით, რისი დეტალური პროექტი უკვე შექმნილი იყო.

საზოგადოებრიობის გამოსაფხიზლებლად და პროტესტის გასაღვივებლად, არაფორმალურ გამოცემა „დარბაზში“ გამოვაქვეყნე მწვავე სტატია „გადავარჩინოთ სამშვილდის ქვეყნის ძეგლები“, სადაც ჩამოვთვლიდი რა განადგურება-დაზიანების რისკის ზონაში მყოფ ნასოფლარ-ნამონასტრალებს და უძველეს გამოქვაბულ კომპლექსებს (საყდრისის შემოქმედი საზოგადოების ნამოსახლარებს!), ხეობის ამ მონაკვეთზე ისტორიულ-არქეოლოგიური ნაკრძალის შექმნას მოვითხოვდი. მაშინ მთავრობა იძულებული გახდა, ამ საკითხის შემსწავლელ კომისიაში შევეყვანე, შემდეგ კი ჩვენს არგუმენტებს ანგარიში გაუწია და პროექტის განხორციელება შეაჩერა. სამშვილდის ქვეყნის მუზეუმ-ნაკრძალის ფორმირებაზე ინტენსიურად ვმუშაობდი შემდგომაც, 1991-1992 წლებში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ზედამხედველობის სამმართველოს ხელმძღვანელად მუშაობის დროსაც, თუმცა, ამის აღსრულებაც, სხვა მრავალ ჩანაფიქრთან ერთად, არ დამცალდა ქვეყანაში განვითარებული ცნობილი ტრაგიკული მოვლენების გამო...

ამჟამად, საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ დატბორვის პროექტს „მტვერი გადაბერტყეს“ და მის რეანიმაციას ცდილობენ გარკვეული საქმიანი ჯგუფები, თითქოს ქვემო ქართლს ინდუსტრიული საქმიანობით გამოწვეული ეკოლოგიური კატასტროფები აკლდეს. ამ ეტაპზე, უბრალოდ მოვუწოდებ იმ სპეციალისტებს, რომლებიც სავარაუდოდ ამ პროექტის ექსპერტიზაში ოფიციალურად არიან ჩართულნი, ასეთივე პრინციპულობა გამოიჩინონ, თორემ შემდეგ უფრო რთულდება ხოლმე ვიზირებული პროექტების შეჩერება. სქემა ქართველი საზოგადოებრიობის მიერ უკვე სრულიად გაშიფრულია, გამოყოფენ გარკვეულ სახსრებს „გარემოზე მავნე ზემოქმედების „შემარბილებელი“ ღონისძიებების „შესამუშავებლად“ და გასატარებლად, ანუ, პირობას დადებენ, რომ რაც შეიძლება ცოტა ძეგლს გაანადგურებენ, სამაგიეროდ, განადგურების წინ ზოგიერთების ფორსირებულ არქეოლოგიურ შესწავლას დააფინანსებენ ექსპერტიზის დასკვნის შემსრულებლების ხელმძღვანელობითვე...

არა! ხეობა ისტორიულ-არქეოლოგიურ ნაკრძალად უნდა გამოცხადდეს! მე მზად ვარ უანგაროდ გაგიწიოთ კონსულტაციები, ოღონდ, მხოლოდ და მხოლოდ ამ ძეგლების სრული ხელშეუხებლობის გარანტიის მისაღები დასკვნის შესამუშავებლად.

# ლაშა კაცია: „გლდანის მეორე განყოფილების თანამშრომლებმა აქტიური ბრძოლა გამომიცხადეს!“



მუსიკოსი და დიჯეი ლაშა კაცია გლდანის მეორე განყოფილების თანამშრომლებს შეურაცხყოფაში ადანაშაულებს:

– გლდანის მეორე განყოფილების თანამშრომლებმა აქტიური ბრძოლა გამომიცხადეს! ისევ ცდილობენ ჩემს შეურაცხყოფას და ჩემს წამოკიდებას!

მოგეხსენებათ, მარტო არასდროს აღარ დავდივარ. ამჯერად, სანამ მე და ჩემი მეგობარი მაღაზიაში შევედით წვენის საყიდლად, მესამე მეგობარი ბანკში შევიდა ფულის გამოსატანად. მაღაზიიდან გამოსულს მხვდება შემდეგი სურათი. ოთხი თანამშრომელი გარს შემორტყმულია ჩემს მეგობარს და უღებენ სურათებს. მივუახლოვდი, რა დროსაც დავინახე, რომ ვიბერის ჩატში ჩაგდებული იყო წელს ქვემოთ ფოტო და ოპერმუშაკი წერდა მოკლე ტექსტურ შეტყობინებას. ვკითხე მიზეზი მისი საქციელის, რაზეც ყვირილით მიპასუხა „ვინ მიგდიხარ“, განვუმარტე, რომ კარგად ვაცნობიერებ ჩემს უფლებებს და მეგობრის ნომრიდან დავრეკე გენინსპექციაში. ავუხსენი ვითარება და საუბრის დროს აქტიურად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ.

ტელეფონის გათიშვის შემდეგ უკვე ბოდიშებით დამიწყეს საუბარი, მე კი სამართლებრივად ვცდილობდი განმემარტა ყოველივე. არ გამკვირვებია და სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მუხლები აერიათ, შევუსწორე, რაზეც მიპასუხეს, რომ ჩემთან კანონებით საუბარი არ სურდათ და გაიქცნენ. შემდეგ ისევ დამიკავშირდნენ გენინსპექციიდან, მეტ დეტალს აღარ მოვყვები.

უბრალოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრო, იქნებ მითხრათ, მაცდით ცხოვრებას, მოაშორებთ ამ გაუნათლებელ ოპერებს, თუ ავდგე და დავტოვო ქვეყანა?!

# ნიკა რურუა აფხაზეთის ომის ისტორიას იხსენებს გიო ხუციშვილზე



კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუა თავისი ცხოვრებიდან ერთ-ერთ ისტორიას იხსენებს, რომელიც მომღერალ გიო ხუციშვილთან არის დაკავშირებული:

– ვიცი, რომ გიოს არ ეწყინებოდა, ერთი ისტორია მინდა მოვყვე:

აფხაზეთის ომში ერთად ვიყავით. ოჩამჩირეში. რატომღაც გიოს ბათინკები მახსოვს, მუდმივ პოსტზე დგომისგან და წვიმისგან დამბალი, წყლით გაჟღენთილი და ბაწრებით გადაკრული.

ერთხელაც შტაბში საავადმყოფოს მთავარი ექიმისგან ამ ხასიათის მოთხოვნა-საჩივარი შემოვიდა: „ისეთი კაცი გამოგვიგზავნეთ, ვინც ნარკოტიკს არ ეკარება, თორემ ნარკომანებმა შეგვაწუხეს.“

მეთაურობამ გიო აარჩია, რადგანაც ყველამ იცოდა, რომ ის „წამალს“ არ ეკარებოდა.

მოკლედ, გიო გაამწესეს საავადმყოფოს დაცვის უფროსად, რა ბრძანებასაც გიო ბუზღუნით, მაგრამ მაინც დაემორჩილა.

გავიდა ერთი კვირა, მეორე და შტაბში უკვე არა წერილობითი საჩივარი, არამედ მთავარი ექიმი გამოცხადდა და ასეთი რამ განაცხადა: „ეს რა გენიალური ბიჭი გამოგვიგზავნეთ, სულში ვიძვრენთ ყველა, ვგიჟდებით მის სიმღერაზე და იუმორზე, მაგრამ... მაგრამ გიომ და მას აყოლილმა ექიმებმა მთელი სპირტი დალიეს. ასე თუ გაგრძელდა, ერთ კვირაში ნემსსაც ველარ გავაკეთებ; წაიყვანეთ უკან, ისევ ნარკომანები გვირჩევნია.“

აი, ეგრე იძია გიომ შური ჩვენზე მის საავადმყოფოს დაცვაში გაგზავნისთვის.

რა ვთქვა აბა, ძმაო გიო?! უამრავ ადამიანს არასდროს დაავიწყდები, მოენატრები, გაახსენდები, იმღერებს შენს სიმღერებს, მოგისმენს და დაესიზმრები. თუ რამეა უკვდავება, მგონი ესაა.

მომავალ შეხვედრამდე, უკვე სასულეთში, ძვირფასო ძმაო და თანამებრძოლო.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

### პენსიონერმა შეიარაღებულ მძარცველს ხელჯოხით სცემა




ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ უინსტონ-სეილემში ინსულტგადატანილმა პენსიონერმა დანით შეიარაღებულ მძარცველს სცემა.

დაახლოვებით დილის ხუთ საათზე 68 წლის ჯონ რიდი ძაღლის ყეფამ გააღვიძა. მის კართან ორი მამაკაცი იდგა. ერთი გარეთ დარჩა, მეორემ კი დანა ამოიღო და სახლში შევიდა. მან რიდს ხელი ისე ჰკრა, რომ ის დაეცა, მძარცველი თავზე დაადგა და დანის მუქარით ფული მოსთხოვა.

სანამ პენსიონერი მძარცველს უხსნიდა, თუ სად ინახავდა საფულეს, ოთახში მისი მეუღლე შევიდა. მან ცოლს დაუძახა, რომ გაქცეულიყო, ხოლო მძარცველები დაარწმუნა, მისთვის თავი დაენებებინათ.

– ის, რომელიც დანით იყო, მეუბნება: „აქ მოიყვანე, თორემ პოლიციაში დარეკავს“, მე კი ვეუბნები: „არა, არა, მას ტელეფონი არ აქვს, მე მაქვს“, – იხსენებს რიდი.

მძარცველმა საფულე იპოვა და ფულის თვლაში გაერთო. პენსიონერმა ამით ისარგებლა და კისერსა და მხარში ხელჯოხი ჩასცხო.

– ის შეეცადა, ჩემთვის დანა დაერტყა, მე კი მას ხელში ჩავარტყი, – ამტკიცებს პენსიონერი. მან მძარცველის ხელჯოხით ცემა გააგრძელა და ბოლოს აიძულა, გაქცეულიყო.

ჩხუბის დროს რიდმა დანით მსუბუქი დაზიანება მიიღო. მძარცველებმა მიმალვა მოახერხეს. მათზე პოლიციამ ძებნა გამოაცხადა.

### ამერიკელმა ბატის ჭუკი კუსგან იხსნა



ამერიკის აიოვას შტატის მცხოვრებმა კერი კოპოლამ ბატის ჭუკი კუსგან იხსნა, რომელიც მის შეჭმას ცდილობდა. ამისთვის მას გასაბერი ლეიბის გამოყენება დასჭირდა. აღნიშნული შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ახალი ამბების პორტალმა გამოაქვეყნა.

ამერიკელი ოჯახთან ერთად გუბურას გასწვრივ მიემგზავრებოდა, როდესაც მისმა ცოლმა წყალში მოფართხალე ჭუკი შენიშნა. ისინი სწრაფად მივიდნენ კოპოლას ძმის სახლში, სადაც მამაკაცმა სწრაფად ჩაიცვა საცურაო კოსტიუმი და წყალზე საცურაო გასაბერი ლეიბიც წამოიღო. მასზე მამაკაცი ჭუკამდე მიცურდა და დაინახა, რომ მას თავს დასხმოდა კაიმანური კუ.

მან ერთმანეთს ჩაფრენილი ცხოველები ნაპირამდე მიიყვანა, სადაც ძმა დაეხმარა ჭუკის მტაცებლის პირისგან განთავისუფლებაში. საბოლოოდ ჭუკი თავის თანამოძმეებს შეუერთდა, ხოლო მშიერმა კუმ წყალს მიაშურა და გაცურა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**14 ივნისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.4569 |
| ევრო | — 2.8959 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.2895 |
| 100 რუსული რუბლი | — 3.9125 |

## ამინდის პროგნოზი 14 ივნისისთვის




# სერია თანამედროვე რუსული ბესტსელერი

## 18 მაისიდან ვიქტორ სუვოროვი აქვარიუმი




ეს წიგნი რუსული გრუ-ს საიდუმლო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## 25 მაისიდან დინა რუბინა პეტრუშკას სინდრომი




„პეტრუშკას სინდრომი“ დინა რუბინას ყველაზე დრამატული რომანია. მისი ყოველი ახალი რომანი ბესტსელერია და გამოცემისთანავე ათეულობით ენაზე ითარგმნება.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## 1 ივნისიდან ვიქტორ პელევინი სამი ცუკერბრინის სიყვარული




ფეისბუქი, გუგლი, უკრაინა, მომხმარებლის კულტი, ტოლერანტობა, ტერორიზმი, იმ ტრენდებს შორისაა, რასაც წიგნი ეხება.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## 8 ივნისიდან ევგენი ვოდოლაზკინი ლავროსი




სნეულთა განკურნების განსაცვიფრებელი უნარით დაჯილდოებული არსენი სიკვდილისგან ვერ იხსნის საყვარელ ქალს. სწორედ ეს იქცევა მისი ცხოვრების გარდამტეხ მომენტად.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

ბოაი
ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი
საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში
-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია
მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით



# სერია ნამდვილი დეტექტივი

## 22 მაისიდან ნაიო მარში კაცი იწვა მკვდარი




დეტექტივი როდერიკ ალეინი ინგლისის ერთ-ერთ რესპექტაბელურ სახლში „მკვლელობანას“ თამაშის დროს მომხდარ ნამდვილ მკვლელობას იძიებს. მსხვერპლი მონღოლური წარმოშობის რუსული სარიტუალო ხანჯლით არის მოკლული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## 29 მაისიდან ანდრეა კამილერი წყლის ფორმა




ზღვისპირა იტალიური ქალაქის უმდიდრესი ადამიანი და არაფორმალური მმართველი პიკანტურ ვითარებაში იღუპება. ყველა დაინტერესებულია ამ საქმით, რომის პაპით დაწყებული, პროვინციელი მოსამართლით დასრულებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## 5 ივნისიდან გილბერტ ჩესტერტონი მამა ბრაუნის სკანდალური ამბავი




მამა ბრაუნი ჩია, პროვინციელი კათოლიკე მღვდელია, არც რამე სისტემა გააჩნია ჩახლართული დანაშაულების გასახსნელად. ბოროტმოქმედების მხილება მისი ჰობია, რაც ძალიან კარგად გამოსდის.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## 12 ივნისიდან როს მაკდონალდი შიში




ოთხმაგი მკვლელობა. ოთხი გარდაცვლილი. პირველ მსხვერპლს დანარჩენებისგან წლები აშორებს, მაგრამ მკვლელობა ერთი პიროვნების ხელით ხდება. მკვლელის ვინაობას, რამდენიც უნდა ეცადოთ, ვერ გამოთვლით, მხოლოდ ბოლო გვერდზე ამოიკითხავთ და გაოცდებით.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

# 2026 წლის მსოფლიო ჩემპიონატს აშშ, კანადა და მექსიკა უმასპინძლებენ



ფიფას 68-ე კონგრესზე ცნობილი გახდა, რომ 2026 წლის მუნდიალს 3 ქვეყანა უმასპინძლებს. ეს ქვეყნებია: ამერიკის შეერთებული შტატები, მექსიკა და კანადა. ამ სამ ქვეყანას ფიფას 134 დელეგატმა დაუჭირა მხარი. აღსანიშნავია, რომ 2026 წლის მსოფლიო ჩემპიონატი განსხვავებული ფორმატით ჩატარდება და მასში მონაწილეობას 32-ის ნაცვლად 48 გუნდი მიიღებს. ამერიკას და მექსიკას უკვე აქვთ მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარების გამოცდილება, ხოლო კანადელებისთვის კი ეს პირველი მუნდიალი იქნება.

# ლევან მჭედლიძე შესაძლოა ემპოლიში დარჩეს




ლევან მჭედლიძეს სეზონის ბოლოს ემპოლისთან კონტრაქტი უმთავრდება და რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის შესაძლოა წასულიყო ემპოლიდან, მაგრამ, სავარაუდოდ, მჭედლიძე თავის გუნდთან ახალ, ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ზუსტი ინფორმაცია რამდენიმე დღეში გავრცელდება, მანამდე კი მჭედლიძე აქტიურად ვარჯიშობს, მას შემდეგ, რაც მან ტრავმა მოიშუშა.

კარიერის მანძილზე ლევანს ქრონიკულად აწუხებდა ტრავმები და ამის გამო მან უამრავი თამაში გამოტოვა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# იუმორი



ქმარი მანქანის საჭეს უზის, ცოლი მის გვერდით ზის. მანქანა საშუალო სიჩქარით მოძრაობს. ამ დროს ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, ჩვენ უკვე 15 წელია შეუღლებულები ვართ, მაგრამ ახლახან გადავწყვიტე, რომ უნდა დაგშორდე.

ქმარი ხმას არ იღებს.

– ჩემს გადარწმუნებას ნუ შეეცდები, ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია. შენ საუკეთესო მეგობართან ვწევარ.

ქმარი ისევ არ იღებს ხმას, მხოლოდ სიჩქარეს მოუმატა.

– ჩვენ სახლს მე ვიტოვებ.

მანქანის სიჩქარემ 90-ს გადააჭარბა.

– ბავშვებსაც.

მანქანა უკვე საათში 120 კილომეტრი სიჩქარით მიქრის.

– ასევე მთელ შენ ფულსაც და მანქანასაც.

ქმარი ხმას ისევ არ იღებს.

– კი მაგრამ, ხმას რომ არ იღებ, შენ არაფერი გჭირდება?

– მე მაქვს ის, რაც მჭირდება, – როგორც იქნა, ხმა ამოიღო ქმარმა.

– და რა გაქვს?

ქმარმა მანქანა კედლისკენ მიმართა და ეუბნება:

– უსაფრთხოების ბალიში.

•••

პირდაპირი ხაზი რუსეთის პრეზიდენტთან. მოქალაქე ეკითხება:

– ვლადიმერ ვლადიმიროვიჩ, უკვე ხუთი საათია ეთერში ხართ და ტუალეტში გასვლა არ გინდათ?

– ამას რუსი ხალხი გადაწყვეტს.

•••

ცოლ-ქმარი ჩხუბობენ. ბოლოს ქმარი ეუბნება:

– ძვირფასო, მოდი ნუღარ ვიკამათებთ და ყველაფერზე მშვიდად ვიმსჯელოთ...

– არა! ყოველთვის, როდესაც ჩვენ რაიმეზე მშვიდად ვმსჯელობთ, ბოლოს მართალი შენ გამოდიხარ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# კროსვორდი

**შვეულად:** 1. სპილენძის შენადნობი კალასა და ტყვიასთან; 2. დამატებითი ჯილდო, პრემია; 3. ჩინელებით დასახლებული ქალაქის უბნების სახელწოდება აშშ-ში; 4. კლიმატური კურორტი თბილისის მახლობლად; 5. ავსტრალიის ძველი დედაქალაქი; 7. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. ტირანი, მტარვალი, თვითნება ადამიანი; 13. ნაკლოვანება, ხარვეზი; 15. სპირტიანი სასმელი; 16. ძვირფასთვლებიანი ქალის სამკაული; 18. ოქრო-ვერცხლით მორთული ცხენის აღვირი; 19. სითხის საქაჩი მექანიზმი.

**თარაზულად:** 6. თავსატეხი, გამოცანა; 8. ცხვრის ხორცისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 9. წმინდა ოქრო; 10. გულადი, ყოჩაღი მამაკაცის ძველებური სახელწოდება; 12. იმრე კალმანის ოპერეტა; 13. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული ფისიანი ქვანახშირი; 17. ეგვიპტის დედოფალი; 20. მრავალდღიანი ველორბოლის დასაწყისი; 21. გალაქტიონ და ტიციან ტაბიძეების მშობლიური სოფელი; 22. ტაივანის დედაქალაქი; 23. უეფას პრეზიდენტი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

